# არჩევნებზე, ამხანაგო ამომრჩევლებო!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

КОМУНИСТИ

ქომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი № 65 (12577) | კვირა, 17 მარტი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

**დღეს, 17 მარტს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო, რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნებია**




ფოტოპლაკატი ვლ. გინზბურგისა და ი. კალაძისა.

# დღეს არჩევნებია!

გადაიფურცლა კალენდარი... და აი გვამცნო: დაიბადა გაზაფხულის ეს დღე ახალი.

დილაადრიან ქუჩებს ყველგან მოედება მშრომელთა ტალღა და საარჩევნო ბიულეტენს ჩაუშვებს ყუთში მრავალი ხელი:

ხმას ვაძლევთ მშვიდობას!

შრომას!

თავისუფლებას!

ყველა ხალხის თანასწორობას, ძმობას, ბედნიერებას!

ხმას ვაძლევთ კომუნიზმს!

დღეს არჩევნებია... და მერამდენედ ტარდება იგი ჩვენს ქვეყანაში!

და მერამდენედ ვხვდებით, როგორც ჩვენი ხალხის ჭეშმარიტ ზეიმს!

ამ დღისთვის, როგორც ზეიმისათვის, ემზადებოდნენ სოფლად, ქალაქად.

დღეს ხალხი აძლევს ხმას თავის რჩეულთ და რესპუბლიკის უმაღლესსა და ადგილობრივ საბჭოებში წარგზავნის წარმომადგენლებს.

დღეს კვლავ იზეიმებს ჩვენი ლენინური, მთელ დედამიწაზე ყველაზე ნათელი დემოკრატია! — და ეს აღგვიძრავს კანონიერ სიამაყეს.

სამშობლოს საუკეთესო ადამიანები მიიღებენ დეპუტატის საპატიო წოდებას. — აი რა გვახარებს და გვაღელვებს.

ვაჯამებთ განვლილს და მომავლისათვის უფრო გაბედულ გეგმებს ვსახავთ! — აი რა აღგვაფრთოვანებს.

ტრადიციულად ახალ-ახალი მიღწევებით ხვდება არჩევნებს საბჭოთა ხალხი.

და საქართველოს მშრომელებმაც საჩუქრები მიუძღვნეს ამ დღეს.

მეტი ფოლადი, მანქანები, მეტი რძე, ხორცი — უპატაკებენ ჩვენს ქვეყანას ყოველი მხრიდან.

დახედეთ ციფრებს, ჩვენი ზრდის ციფრებს, თუ რა გაკეთდა სულ მოკლე ხანში;

დღეს საქართველო უფრო დამშვენდა საბჭოთა ქვეყნის ერთ ძმურ ოჯახში.

ცხრაჯერ მეტს უშვებს ერთ მცხოვრებზე ელექტროენერგიას, ვიდრე თურქეთი.

და ბევრად მეტ თუჯს, ვიდრე იტალია ან იაპონია.

მეტ ფოლადს, ვიდრე ნორვეგია, თურქეთი და შვეიცარია უშვებენ ერთად.

და მეტ ელმავლებს, ვიდრე საფრანგეთი...

არჩევნებიდან არჩევნებამდე აშენდა ბევრი ახალი ბინა.

სახე ეცვალათ სოფლებს, ქალაქებს, იმათა შრომის ხვავმა, ბარაქამ.

სად, დასავლეთის რომელ ქვეყანას აქვს ზრდა-შენების ასეთი ტემპი; დემოკრატია ასე ნათელი, ხალხის სურვილის გამომხატველი.

ჩვენში ხომ ხალხი სახელმწიფოა და პარლამენტიც თვითონ ხალხია!

ამომრჩევლებო, დღეს არჩევნებზე კვლავ ერთსულოვნად მივიდეთ ყველა!

ხმა მივცეთ ჩვენი ხალხის რჩეულებს, ხმა მივცეთ შრომას, ბედნიერებას!

# შენთვის, სამშობლოვ!

**ზესტაფონი.** (ტელეფონით). საწარმოო სამმართველოს მშრომელებმა არჩევნების აღსანიშნავ შეჯიბრებაში წარმატებას მიაღწიეს, ვადაზე ადრე გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცისა და კვერცხის მიყიდვის გეგმები. სახელმწიფოს მიეყიდა 2.574 ცენტნერი ხორცი და 450 ათასი ცალი კვერცხი.

გადაჭარბებით არის შესრულებული ხვნის დავალება. მოხნულია 3.600 ჰექტარი.

**ახალციხე.** (ტელეფონით). კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს პირველი კვარტალის გეგმა. ნაცვლად 587 ცალი მსხვილი ტყავისა, სახელმწიფოს მიეყიდა 604 ცალი. დიდი გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე ბეწვეულისა და ლორის ტყავის მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა.

**გარდაბანი.** (სპეც. კორ.). რაიონის მშრომელებმა კარგად დაიწყეს შვიდწლედის მეხუთე წელი, გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის პირველი კვარტალის დავალება. სახელმწიფოს მიეყიდა 600 ტონამდე ხორცი.

რაიონის მშრომელებმა თბილისისა და რუსთავის მშრომელებს პირველი კვარტალის ანგარიშში ნაცვლად 600 ტონისა მიაწოდეს 653 ტონა ბოსტნეული.

**მაიაკოვსკი.** (ტელეფონით). საწარმოო სამმართველომ ნაცვლად პირველი კვარტალის გეგმით გათვალისწინებული 1.414 ცენტნერი ხორცისა სახელმწიფოს მიჰყიდა 1.496 ცენტნერი, კვერცხი — ნაცვლად 228 ათასი ცალისა 359 ათასი ცალი.

**სამტრედიის** საწარმოო სამმართველომ სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა, ნაცვლად 2.030 ცენტნერისა სახელმწიფოს მიჰყიდეს 3.095 ცენტნერი ხორცი.

**ცხაკაია.** რაიონის მშრომელებმა ნაცვლად 1.840 ცენტნერისა სახელმწიფოს მიჰყიდეს 1.997 ცენტნერი ხორცი.



**თბილისის** ენგელსის № 32 საარჩევნო ოლქის მეოთხე საარჩევნო უბნის აგიტატორებმა ყველაფერი გააკეთეს, რათა არჩევნების დღეს — 17 მარტს ყოველმხრივ მომზადებული დახვედროდნენ ამომრჩევლებს. საბოლოოდ დააზუსტეს ამომრჩეველთა სიები, ლამაზად მორთეს საარჩევნო უბანი, მოაწყეს ხმის მისაცემი კაბინები, დასასვენებელი ოთახი და სხვ.

**სურათზე:** საარჩევნო უბნის აგიტატორების ერთი ჯგუფი.

ფოტო ვლ. ჯინჭარაძისა.

## სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

### აკადემიკოს ტ. დ. ლისენკოს მეთოდით მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის რძელალიანობის გადიდების საკითხებზე მოლდავეთის სსრ მეცხოველეობის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირის მონაწილეთა მიმართვის შესახებ

**სკკპ** ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება აკადემიკოს ტ. დ. ლისენკოს მეთოდით მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის რძელალიანობის გადიდების საკითხებზე მოლდავეთის სსრ მეცხოველეობის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირის მონაწილეთა მიმართვის შესახებ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი ამ დადგენილებაში აღნიშნავს, რომ ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ჯერ კიდევ საკმაოდ არ იყენებენ რძის პროდუქტთა წარმოების ზრდის ისეთ დიდ რეზერვს, როგორიცაა ძროხის რძელალიანობის გადიდება.

მოლდავეთის სსრ სოფლის მეურნეობის მუშაკებმა გამოიჩინეს ძვირფასი ინიციატივა და 1958 წლიდან ახორციელებენ მუშაობას აკადემიკოს ტ. დ. ლისენკოს მეთოდით პირუტყვის რძელალიანობის გადიდებისათვის. ამჟამად მოლდავეთის 137 კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთა მეურნეობებში უკვე ჰყავთ 3 ათასზე მეტი სული პირუტყვი, აქედან 150 მეწველი ფური, რომლებიც გამოიყვანეს აკადემიკოს ტ. დ. ლისენკოს მეთოდიკით მიღებულ ნაჯვარ ბუღებთან ადგილობრივი თხელრძიანი ძროხების შეჯვარების გზით. ამ ძროხებს რძის ცხიმიანობა 1-1,5 პროცენტით მეტია, ვიდრე ადგილობრივი ძროხისა.

თხელრძიანი პირუტყვის გარდაქმნის დარგში მიღებული დადებითი გამოცდილების საფუძველზე რესპუბლიკურმა თათბირმა განიხილა და მიიღო სამუშაოთა კონკრეტული პროგრამა, რომელიც საშუალებას იძლევა უახლოეს წლებში 3,5-დან 4,5 პროცენტამდე გაიზარდოს ძროხის რძის ცხიმიანობა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფერმებში. ეს მნიშვნელოვნად გაადიდებს რძის პროდუქტების წარმოებას და დიდი ეკონომიური მნიშვნელობა ექნება.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა მოლდავეთის სსრ სოფლის მეურნეობის მუშაკთა ინიციატივა, რომ ფართოდ განახორციელონ მუშაობა რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, რათა გადიდდეს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის რძელალიანობა აკადემიკოს ტ. დ. ლისენკოს მეთოდით.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ურჩია მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სასოფლო სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, საწარმოო სამმართველოებს, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, მოლდავეთის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მაგალითისამებრ შეიმუშაონ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის რძელალიანობის გადიდების ღონისძიებანი, ჩააბან ამ მუშაობაში მეცნიერები, სპეციალისტები, მეცხოველეობის ფერმათა მუშაკები.

## მანქანათმშენებელთა წარმატება

**საქართველოს** სსრ უმაღლესი საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღის აღსანიშნავად დიდი შრომითი აღმავლობაა თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხანაში.

ქარხნის კოლექტივმა მიმდინარე წლის ორი თვის დავალება 101 პროცენტით შეასრულა, მნიშვნელოვნად გაზარდა შრომის ნაყოფიერება, ყოველ ერთ მანეთ სასაქონლო პროდუქციაზე დახარჯა 83 კაპიკი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 85,1 კაპიკისა, მიიღო ზეგეგმითი დაგროვება და რესპუბლიკის ეკონომიის ფონდში შეიტანა 7 ათასი მანეთი.

შეჯიბრებაში დაწინაურდა ლვინის დგუშების ამწყობი კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელსაც გიორგი სტეფანოვი ხელმძღვანელობს. ბრიგადის წევრებმა იანვარ-თებერვლის დავალება 140 პროცენტით შეასრულეს.

## კომუნიზმის მშენებლობა სსრ კავშირში და სოფლის მეურნეობის განვითარება

### მეხუთე ტომი ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებებისა და გამოსვლებისა სოფლის მეურნეობის საკითხებზე

**პოლიტიკური** ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოუშვა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებებისა და გამოსვლების მეხუთე ტომი „კომუნიზმის მშენებლობა სსრ კავშირში და სოფლის მეურნეობის განვითარება". ტომში დაბეჭდილია გამოსვლები და წერილები 1961 წლის თებერვლიდან ოქტომბრამდე.

იანვრის პლენუმის შემდეგ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ მოეწყო სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირები საბჭოთა კავშირის ძირითად ზონებში მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების კონკრეტულ ღონისძიებათა გამსახილველად. მეხუთე ტომში დაბეჭდილია ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა რუსეთის ფედერაციის ცენტრალური შავმიწანიადაგიანი ზონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოწინავეთა თათბირზე 1961 წლის 11 თებერვალს „მოწინავე გამოცდილებასა და მეცნიერების მიღწევებზე დაყრდნობით მივაღწიოთ სოფლის მეურნეობის საერთო აღმავლობას".

წიგნში შეტანილია ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა რუსეთის სფსრ არაშავმიწანიადაგიანი ზონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე 23 თებერვალს „ავამაღლოთ სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის დონე". იბეჭდება აგრეთვე სიტყვები ურალისა და ციმბირის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირებზე.

მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის განვითარებაში მოპოვებული წარმატებებისათვის მთავრობის მაღალი ჯილდოები გადაეცათ სვერდლოვსკისა და კურგანის ოლქებს. ტომში დაბეჭდილია ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვები საზეიმო სხდომებზე სვერდლოვსკსა და კურგანში, რომლებიც მიეძღვნა ლენინის ორდენის გადაცემას ამ ოლქებისათვის.

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვები ყამირის მხარისა და ყაზახეთის სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირებზე მიეძღვნა ყამირის საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ახალ ამოცანებს, რომლებმაც შესანიშნავი ფურცელი ჩაწერეს ჩვენი სამშობლოს ისტორიაში.

მეხუთე ტომში დაბეჭდილია ბარათი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისადმი „ზოგიერთი შედეგი ზონალური თათბირებისა სოფლის მეურნეობის საკითხებზე" და ბარათი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისადმი „ზოგიერთი გადაუდებელი ამოცანა სოფლის მეურნეობის დარგში".

წიგნში შეტანილია ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მისალმებანი ორიოლის ოლქის დმიტროვსკის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი დროშის" მერგოლურის პ. ე. საპუნოვისადმი, პენზის ოლქის სვერდლოვსკის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „ნადეჟდინსკის" მერგოლურის ლუბა პერეგუდოვასადმი, ჩიტის ოლქის შილკის რაიონის კოლმეურნეობა „პირველი მაისის" მესიმინდე მექანიზატორების ა. გ. ლისიჩნიკოვისა და ი. რ. სუხანოვისადმი, ვინიცის ოლქის ბერშადის რაიონის სოფელ შლიახოვაიას კოლმეურნეებისადმი და ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ ლესკენის რაიონის ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეებისადმი.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლებსა და წერილებში, რომლებიც თავმოყრილია მეხუთე ტომში, გამოვლინებულია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უმდიდრესი რეზერვები, აღნიშნულია ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესების გზები.

# გულითადი შეხვედრები

### ნ. ს. ხრუშჩოვი კურსკის სინთეზური ბოჭკოს ქარხანაში

**კურსკი,** 15 მარტი. (საკდესი). დღეს დილით კურსკში ჩამოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი პ. ნ. დემიჩევი, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ქიმიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. კ. ბაიბაკოვი. ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს შეხვდნენ პარტიის სამრეწველო და სასოფლო საოლქო კომიტეტების მდივნები ს. ი. შაპუროვი და ლ. გ. მონაშოვი, ცენტრალური შავმიწანიადაგიანი ეკონომიური რაიონის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე კ. ნ. ბელიაკი და კურსკის ოლქის სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

სტუმრები ოლქის ხელმძღვანელებთან ერთად იყვნენ სინთეზური ბოჭკოს ქარხანაში. ეს ქარხანა დიდი ქიმიის ერთ-ერთი უმსხვილესი საწარმოა, რომელიც ქალაქის ახალ სამრეწველო რაიონში შენდება.

საწარმოში უკვე ამუშავდა პირველი და მეორე რიგის ობიექტები, მოქმედებენ საამქროები, რომლებიც უშვებენ შესანიშნავ ბოჭკოს — ლავსანს, საბჭოთა ქიმიკოსებმა რომ შექმნეს. ეს ბოჭკო გამოირჩევა დიდი სიმტკიცით, არაჩვეულებრივი გამძლეობით, იტანს ტენს, არ ხუნდება მზეზე, არ იცვლება მჟავეებისა და ტუტეების ზემოქმედებით. მისგან მიღებული ნართი ქათქათა, ბუმბულივით მსუბუქია, და თავისი თვისებებით არ ჩამოუვარდება ბუნებრივ ნაზ მატყლს.

ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც დაიწყო ლავსანის წარმოება. ამ ხნის მანძილზე კურსკელმა ქიმიკოსებმა დიდი მუშაობა გასწიეს იმისათვის, რომ აეთვისებინათ ახალი პროდუქცია, გაედიდებინათ მისი გამოშვება, გაეუმჯობესებინათ ხარისხი და შეემცირებინათ თვითღირებულება. საწარმოს საპროექტო სიმძლავრე მნიშვნელოვნად გადაჭარბებულია. ამჟამად ლავსანის ბოჭკოს ფართოდ იყენებენ საფეიქრო, ტრიკოტაჟისა და ბეწვეულის მრეწველობაში, მისგან ამზადებენ შესანიშნავ საკოსტუმე და საკაბე ქსოვილებს, ტრიკოტაჟისა და ბეწვეულის ნაწარმს, დიდი გამძლეობის ტექნიკურ ტილოს.

ქარხანაში მისვლისას ნ. ს. ხრუშჩოვმა და მისმა თანმხლებმა პირებმა დაათვალიერეს ქიმიური კორპუსი, სადაც აწარმოებენ საწარმოს ძირითად ნედლეულს — სინთეზურ ფისებს. ქარხნის დირექტორმა ლ. ფ. საფრონკოვმა სტუმრებს გააცნო ფისების დამზადების ტექნოლოგია და საწარმოო მოწყობილობა, რომლის სრულყოფასა და რეკონსტრუქციაზე კოლექტივმა ბევრი იმუშავა.

შემდეგ სართავი საამქროს წითელ კუთხეში გაიმართა გაცხოველებული საუბარი. ქარხნის დირექტორმა ილაპარაკა საწარმოს კოლექტივის საქმიანობაზე, სინთეზური ბოჭკოს წარმოების განვითარების პერსპექტივებზე, აგრეთვე იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობს საქარხნო დაბის მშენებლობა. დამსწრენი დაინტერესდნენ, კერძოდ, მონაცემებით, თუ რამდენად ხელსაყრელია ეკონომიური თვალსაზრისით ისეთ საწარმოთა მშენებლობა, როგორიც არის კურსკის ქარხანა. ქარხანამ უკვე აანაზღაურა მის აგებაზე გაწეული ხარჯების 70 პროცენტი. ნ. ს. ხრუშჩოვმა აღნიშნა, რომ საჭიროა აიგოს რაც შეიძლება მეტი ასეთი საწარმო. ეს შესაძლებლობას მოგვცემს დავზოგოთ სახელმწიფო სახსრები და მოსახლეობა უზრუნველვყოთ იაფი და ლამაზი ტანსაცმლით, ხოლო მრეწველობა — დიდი გამძლეობის ტექნიკური ქსოვილებით.

ქარხნის მუშაკებთან საუბრის შემდეგ სტუმრებმა კვლავ განაგრძეს საწარმოს საამქროების დათვალიერება. საამქროებში მუშები გულითადად მიესალმნენ ნიკიტა სერგის ძეს.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მაღალი შეფასება მისცა დიდ მუშაობას, რასაც ეწევა დიდი ქიმიის საწარმოს მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მშენებელთა კოლექტივი.

### ნ. ს. ხრუშჩოვი ლისიჩანსკის ქიმიურ კომბინატში

**სევეროდონეცკი.** (ლუგანსკის ოლქი), 16 მარტი. (საკდესი). დღეს დილით ლისიჩანსკის ქიმიურ კომბინატს ეწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი.

ნ. ს. ხრუშჩოვთან ერთად ქიმიურ კომბინატში იყვნენ უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ვ. პოდგორნი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი პ. ნ. დემიჩევი, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ქიმიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. კ. ბაიბაკოვი, აგრეთვე პარტიის ლუგანსკის სამრეწველო და სასოფლო საოლქო კომიტეტების მდივნები ვ. ვ. შევჩენკო და ნ. მ. გურეევი, დონეცკის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე ნ. მ. ხუდოსოვცევი.

ლისიჩანსკის ქიმიური კომბინატი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ახალშენებაა.

ნ. ს. ხრუშჩოვმა, აგრეთვე ნ. ვ. პოდგორნიმ, პ. ნ. დემიჩევმა და ნ. კ. ბაიბაკოვმა დაათვალიერეს სუსტი აზოტმჟავის, ამიაკის, ჟანგბადის, კაპროლაქტამის, აცეტილენის, გრანულირებული ამონიუმის გვარჯილის, კარბამიდის წარმოება.

კომბინატის დათვალიერების დროს ნ. ს. ხრუშჩოვს ყველგან გულთბილად მიესალმნენ საწარმოს მუშები და მოსამსახურენი.

ნ. ს. ხრუშჩოვი ესაუბრა საწარმოს ხელმძღვანელებს.

## ტულელ ქიმიკოსთა წარმატება

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელით ნ. ს. ხრუშჩოვმა კარგი საწარმოო წარმატებანი მიულოცა ტულის ოლქის ნოვომოსკოვსკისა და შჩეკინოს ქიმიური კომბინატების, ეფრემოვის სინთეზური კაუჩუკის ქარხნის, რუსეთის სფსრ მშენებლობის სამინისტროს „ნოვომოსკოვსკქიმმშენის", „შჩეკინოქიმმშენის", „ეფრემოვქიმმშენის" ტრესტებისა და რუსეთის სფსრ სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტროს „საკმრეწვმონტაჟის" სამმართველოს მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს.

ტულელმა ქიმიკოსებმა აამუშავეს კარბამიდის წარმოების დიდი სიმძლავრეები. ნოვომოსკოვსკისა და შჩეკინოს ქიმიურ კომბინატებში, აგრეთვე თითქმის ერთიორთხად გაადიდეს სინთეზური ამიაკის წარმოების სიმძლავრეები 1959 წელთან შედარებით. დიდი წარმატებანია მიღწეული აგრეთვე მინერალური სასუქების, ჰერბიციდების, რეზინის ტექნიკური ნაწარმის, კაუჩუკისა და სხვა ქიმიური პროდუქტების წარმოების გაფართოებაში.

ტულელ მშრომელებს, აღნიშნავს ნ. ს. ხრუშჩოვი, არა მარტო კარგად ესმით ქიმიის დაჩქარებული განვითარების უდიდესი მნიშვნელობა, არამედ ყოველ ღონესაც ხმარობენ, რომ რაც შეიძლება სწრაფად შეასრულონ ეს დიდი და კეთილშობილური ამოცანა. ნ. ს. ხრუშჩოვმა გამოთქვა ღრმა რწმენა, რომ ტულელ ქიმიკოსთა მაგალითს მხურვალედ დაუჭერენ მხარს და მიბაძავენ ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონების ქიმიურ საწარმოთა მშრომელები.

**წერილში** ნ. ს. ხრუშჩოვისადმი ტულელი ქიმიკოსები წერენ, რომ, როცა ქიმიურ წარმოებას აფართოებდნენ, ისინი ისახავდნენ ამოცანას — უზრუნველეყოთ სიმძლავრეთა მნიშვნელოვანი მატება ისე, რომ მინიმალური ყოფილიყო კაპიტალდაბანდება, მაქსიმალურად გამოეყენებინათ არსებული საწარმოო ფართობები, ენერგეტიკული რესურსები და საინჟინრო ნაგებობანი, არ შეეჩერებინათ მოქმედი საამქროები.

თითქმის ერთიორად დიდდება 1963 წლის გეგმით ქიმიურ საწარმოთა მთლიანი პროდუქცია 1958 წელთან შედარებით, ამასთან შრომის ნაყოფიერება მთლიანად საწარმოებში გაიზრდება 27 პროცენტით. იმის შედეგად, რომ ნედლეულად ვიყენებთ ბუნებრივ გაზს, ტონა ამიაკის თვითღირებულება ამ წლებში თითქმის ერთიორად შემცირდა.

ტულის ოლქის ქიმიურ საწარმოთა და სამშენებლო ორგანიზაციათა მუშაკები მიესალმებიან ლუგანსკელი მშენებლებისა და მემონტაჟეების, გორკის ოლქის ქიმიკოსების ინიციატივას, და 1963 წლისათვის იკისრეს ახალი სოციალისტური ვალდებულებანი. (საკდესი).

## მეგობრული მილოცვა

**სსრ** კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა დეპეშა გაუგზავნა ავღანეთის პრემიერ-მინისტრს მუჰამედ იუსუფს. საბჭოთა მთავრობის სახელითა და პირადად თავისი სახელით იგი გულწრფელად ულოცავს მას იმასთან დაკავშირებით, რომ დანიშნულია მეგობარი ავღანეთის პრემიერ-მინისტრად.

ნ. ს. ხრუშჩოვი უსურვებს მუჰამედ იუსუფს წარმატებებს ახალ მაღალ და პასუხსაგებ პოსტზე მოღვაწეობაში და რწმენას გამოთქვამს, რომ საბჭოთა კავშირ-ავღანეთის მეგობრული ურთიერთობა, მრავალი წლის ნაყოფიერი თანამშრომლობით შემოწმებული, კვლავაც განვითარდება ორივე ქვეყნის ხალხთა საკეთილდღეოდ, საყოველთაო მშვიდობის ინტერესებისათვის. (საკდესი).

# ხმა მივცეთ მშვიდობას, შრომას, ბედნიერებას!

# პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა

## სიყვარული გზად და ხიდად

პირველი მსოფლიო ომი დამთავრებული იყო. მაშინ ცხრა თუ ათი წლის ბიჭი ვიყავი, მაგრამ ის ამბავი, რომელზეც მინდა მოგითხროთ, ისე ნათლად დამახსოვრდა, რომ არასოდეს არ ამოიშლება ჩემი მეხსიერებიდან. შირაქის მინდორში ვიყავით, ზაფხული იყო და ყანიდან ვბრუნდებოდით, როცა გზაზე ვიღაც უცნობები შემოგვხვდნენ — ერთი მოხუცი კაცი იყო, ერთი ახალგაზრდა ქალი და ორიც ბავშვი — ბიჭი და გოგო. ქალს შეშლილის სახე ჰქონდა და კუნაპეტ ღამესავით შავ თვალებს შიშით აცეცებდა აქეთ-იქით. ის წამდაუწუმ შეკრთებოდა ხოლმე, მერე გარინდდებოდა და ის მოხუციც, ის ბავშვებიც მაშინ ეფერებოდნენ, აწყნარებდნენ და, როგორც ვატყობდით, საალერსო სიტყვებს ჩასჩურჩულებდნენ, რომ გაოგნებისაგან გამოეყვანათ. შევხედეთ, და გული დაგვწვა იმათმა საცოდაობამ. — ეტყობოდათ აქაურები არ იყვნენ, შორი, ძალიან შორი გზიდან მოდიოდნენ, ტანსაცმელიც შემოფლეთოდათ, და უცებ მივხვდით, რომ ეს ლტოლვილები იყვნენ.

აი მივუახლოვდით ერთიმეორეს, გაჩერდნენ ისინიც და ჩვენც. გვინდა რაღაც ვუთხრათ, ვკითხოთ რამე, მაგრამ მათი ენა არ ვიცით, ვატყობთ კი, რომ სომხურ ენაზე ლაპარაკობენ. მაგრამ ჩვენს შორის (ჩვენ სამნი ვიყავით — მე, ბიძაჩემი და ერთიც ჩვენი მეზობელი) სომხური არცერთმა არ ვიცოდით. ჩვენი მეზობელი მეცხვარე იყო და, როგორც მოგეხსენებათ, ქიზიყელ მწყემსებს შორის ბევრმა იცის აზერბაიჯანული ენა. ჰოდა, იმ ენაზე ჰკითხა მოხუცს ჩვენმა მეზობელმა:

— გოჯა, სან ქიმსან? (ვინა ხარ, ბერიკაცო?)

ჯერ ვიფიქრეთ, რომ აზერბაიჯანული არც იმ ბერიკაცმა იცოდა, ვინაიდან პასუხი დააგვიანა, ისე შემოგვხედა, თითქოს უნდოდა ჩვენს სახეებზე წაეკითხა, თუ ვინ ვიყავით. მწყემსიც მიხვდა ამას და უთხრა:

— სან ჰარალისან სოილა... მან სანა ფისლიქ ეთმარამ (სადაური ხარ, მითხარი...! მე არაფერს დაგიშავებ).

მაშინ-ღა უპასუხა ბერიკაცმა:

— ოღლუმ, მან იაზიხ ბირ ადამამ (შვილო, მე ერთი უბედური კაცი ვარ...).

და ჩვენ საშინელი ამბები მოვისმინეთ. მაშინ მე პირველად გავიგონე თურქეთის ვიცე-გენერალისიმუსის, სულთანის სიძის, მხეცი და არჯალი ენვერ-ფაშას სახელი, რომელმაც ეს ადამიანები აყარა თავიანთი მიწა-წყლიდან, ესეც არ იკმარა, მათივე სისხლით მორწყო მიწის ყველა მტკაველი, შვილს დედის წინ გამოსჭრა ყელი, ძმას — დის თვალწინ, მისი ბრძანებით ერთი მილიონი სომეხი გაწყვიტეს, ამდენივე არაბეთის უდაბნოებში გადაასახლეს, მხოლოდ ზოგიერთებმა გამოასწრეს და ჩვენსკენ გამოიქცნენ.

აი ამ ამბებს გვყვებოდა მოხუცი. ჩვენი მეზობელი გვითარგმნიდა მის ნალაპარაკევს და ჩვენ ახლა უკვე კარგად ვხვდებოდით, რატომ თრთოდა ის ქალი და რატომ ჰქონდა მას შეშლილის სახე. ისინი ჯოჯოხეთიდან მორბოდნენ და მათ თვალებში ის საშინელი ხილვანი ჯოჯოხეთისა ჯერაც არ წაშლილიყო.

ლტოლვილები ჩვენს სოფელში წამოვიყვანეთ. როგორც ახლო ნათესავები, ისე მიიღეს და შეიფარეს ისინი ქიზიყელებმა.

აი ასეთია ხალხის გული.

ქართველი და სომეხი მუდამ, საუკუნეთა განმავლობაში ძმები იყვნენ ერთიმეორისა; რა კარგად დაწერა ამაზე სომეხმა პოეტმა ქალმა სილვა კაპუტიკიანმა: ჩვენ და ქართველები მუდამ ძმები ვიყავით, და როცა ჩვენ, სომხებს, საშინელი მტერი თავს დაგვესხმოდა, ძმასთან, საქართველოში შევაფარებდით ხოლმე თავს და რაც უნდა ბნელი ღამე ყოფილიყო, რაც უნდა მეხთა ტეხა და ქექა-ქუხილი ყოფილიყო ქვეყნად, ძმა მაინც კარსაც და გულსაც გაგვიღებდა ხოლმე და ძმურ ხელს გამოგვიწვდიდაო.

გამოჩენილმა ფოლკლორისტმა ვახტანგ კოტეტიშვილმა თავის დროზე გამოაქვეყნა ძველი ქართული ხალხური ლექსი, რომელშიც ნათქვამია:

წუთისოფელი რა არი?
აგორებული ქვა არი,
რა წამს კი დავიბადებით
იქვე საფლავი მზა არი.

საცა სოფელში მიხვიდე,
სუყველგან ორი გზა არი,
შუაში არის ხმელეთი,
გარშემო დიდი ზღვა არი.
ყველა ადამის ძენი ვართ,
თათარიც ჩვენი ძმა არი,
ჩვენსა და სომხების შუა
განყოფილება რა არი?
თუ ქალი გეტყვის დობასა,
ის უკეთესი და არი,
აგრეთი გქონდეს გუნება,
რო მოწმენდილი ცა არი.
თუ არ იწამებ ამასა,
მუცლით ნაშობი რა არი?

ლექსი კი არა, მთელი ფილოსოფიააა! აბა ერთი ყური დაუგდეთ, რას ამბობს ეს ჩვენი კეთილი, ეს ჩვენი ბრძენი უსახელო სახალხო მთქმელი! რა კარგად იცის ეს „წუთისოფელი რა არი", ამიტომ ამბობს: რომელ სოფელშიც უნდა მიხვიდე, სადაც უნდა იყო, ყველგან ორი გზა დაგხვდება — კეთილისა და ბოროტისა, შენ კეთილის გზა აირჩიე, იმიტომ რომ ჩვენ ყველანი ადამის ძენი ვართ, მაშასადამე, ყველანი დები და ძმები ვართ ერთიმეორისა და სულიც ისეთი სუფთა უნდა გვქონდეს, როგორიც მოწმენდილი ცა არიო. თუ ამას ვერ მიხვდები, შენ ადამიანად არ ჩაითვლებიო.

ვ. კოტეტიშვილი ამ ლექსის კომენტარებში წერდა: „მიუხედავად სხვადასხვა რელიგიური თუ სახელმწიფოებრივი თავკერძოობისა, რომლის გამოც ერთ მოდგმას მეორეს უსევდნენ, ხალხმა მაინც არ დაკარგა თავისი რწმენა და თავისთვის, ჩუმად, ამ იდეას უფრთხილდებოდა". მართლაც, ამ ლექსში მთელი ქართველი ხალხის სულია გამოხატული. ჩვენ, ქართველები, მუდამ სიყვარულით ვეპყრობოდით მეზობელ ხალხებს, მუდამ ძმებად გვეგულებოდნენ ისინი, პატივსა ვცემდით მათს ენას, მათს კულტურას იმიტომ, რომ მუდამ ვიცოდით, რას ნიშნავს ხალხისათვის მისი კულტურა. ქართულ ენაში სიტყვა სიყვარულს ათასი სინონიმი აქვს და მათ შორის გასაოცარი და ძნელად სათარგმნელი „შენ გენაცვალე". აჲ, ამ გრძნობით ზრდიდა ჩვენი სამშობლო თაობას თაობაზე.

მაგრამ ხალხთა ძმობას ხელს უშლიდა და წინ ეღობებოდა უსამართლობაზე დაფუძნებული ძველი წყობილება, სწორედ ის ბნელი ღამე, რომელზეც ლაპარაკობდა სილვა კაპუტიკიანი. დიახ, ეს ასე იყო; და ჩვენი ხალხების ყველაზე დიდი ბედნიერება ის არის, რომ დიდმა ლენინმა ოქტომბერში აღმართა დროშა ხალხთა მეგობრობისა, რომელმაც ყოველგვარ ღამეს, ყოველგვარ სოციალურ და ეროვნულ უბედურებას თუ ჩაგვრას სამუდამოდ მოუღო ბოლო. ლენინის პარტიამ იხსნა ჩვენი ხალხები, მათს კულტურებს წინსვლის უბრწყინვალესი პერსპექტივები გადაუშალა.

და ჩვენი ქვეყნის — ხალხთა ძმობის, მეგობრობისა და თანასწორობის ქვეყნის ყველა წარმატებას ჩვენ ვუმადლით სახელოვან კომუნისტურ პარტიას.

ამ სასიხარულო გრძნობით ვხვდებით ჩვენს წლევანდელ არჩევნებსაც, როცა ჩვენს სახალხო პარლამენტში ავირჩევთ ჩვენი ხალხის ყველაზე მოწინავე და საუკეთესო ადამიანებს.

**გიორგი ნატროშვილი.**



ნახ. კ. მახარაძისა.

## ვაზის დედოფალი

**ალიონზე** წამომდგარი სათნო სახის ქალიშვილი თავისი სახლის აივნიდან გასცქეროდა ცაზე შემოჯარულ საწვიმარ ღრუბლებს. „წვიმაა მოსალოდნელი, მაგრამ ჯერ ხომ არ წვიმს. მთელი რგოლის ერთი საათის შრომაც კი დიდ რამეს ნიშნავს კოლმეურნეობისათვის", — გაიფიქრა თავისთვის იზოლდამ, კიბე მკვირცხლად ჩაირბინა, ჭიშკარი გამოაღო, და უბნის ორღობეებში მისი წკრიალა ხმა დაირხა:

— ბიძია სოსია, დეიდა ნინო, ბიცოლა აგრაფინა — დღეს წინუბნის ვაზის პლანტაციებში ვიწყებთ ბარვას, დროულად წავიდეთ!

მერგოლურის ხმაზე კოლმეურნეები ფეხზე დადგნენ. ასეა ყოველ ცისმარე დღეს. უჯერიან მკლავმოუღლელი მევენახეები ენერგიით სავსე მერგოლურს — იზოლდა დავითის ასულ მელაშვილს, და საქმესაც ეტყობა წინსვლა. იზოლდას რგოლმა შარშან მიმაგრებული 8 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 65 ცენტნერი ყურძენი მიიღო და გეგმა 120 პროცენტით შეასრულა. წელს ამ რგოლმა საშუალოდ ჰექტარზე 90 ცენტნერი ყურძნის მიღება იკისრა და შრომაც გააორკეცა.

* * *

1963 წლის 13 თებერვალი... იზოლდა მელაშვილი თავისი რგოლის წევრებთან ერთად ჯარასავით ტრიალებს ვენახში...

კანტორიდან გამოგზავნილი კაცი ღობეს მოადგა. რგოლის წევრებს სახელდახელო კრებაზე იწვევდნენ.

— ნეტავ რისთვის მოუწვევიათ ასე საჩქაროდ კრება? — იკითხა ქალიშვილმა.

— წინასაარჩევნო კრებაა, სრულ 5 საათზე საკოლმეურნეო კულტურის სახლში უნდა მოხვიდეთ, — თქვა მოსულმა.

რა გაეწყობოდა, იზოლდა პირდაპირ კულტურის სახლისაკენ წაუძღვა თავის წევრებს.

წინასაარჩევნო კრება დაიწყო... ტრიბუნაზე ა კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი თინა მაისაშვილი. მან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამბროლაურის № 251 საარჩევნო ოლქში დაასახელა სოფელ წესის კოლმეურნეობის მოწინავე მევენახე — მერგოლური იზოლდა დავითის ასული მელაშვილი.

კანდიდატურის მოწონების ნიშნად იგრიალა ტაშმა. იზოლდას კი სიხარულის მოულოდნელობისაგან სახეზე ალმური ასდიოდა.

თვითონ რა უნდა ეთქვა მას. სამაგიეროდ თანასოფლელებმა ილაპარაკეს მის სასახელო შრომით საქმეებზე.

**ვ. ვაჩაძე,**
ამბროლაურის საქალაქთაშორისო გაზეთ „კომუნიზმის დროშის" რედაქტორი.

## ცეცხლთან დავაჟკაცებული

ეს იყო 1958 წლის ნოემბრის ერთ მშვენიერ დღეს. მეტალურგიული ქარხნის საბრძმედე-საამგლომერაციო საამქროს კლუბში ბევრ ხალხს მოეყარა თავი.

ტრიბუნაზე ავიდა საამქროს პარტორგანიზაციის მდივანი ვ. კობერიძე და განაცხადა:

— ამხანაგებო, ჩვენ დიდი სიხარულით შევიტყვეთ, რომ მომავალი შვიდწლიანი გეგმის წარმატებით შესრულების უზრუნველსაყოფად ქვეყანაში იწყება ახალი, შესანიშნავი მოძრაობა. მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, დონბასში, ბაქოსა და მთელ რიგ სხვა ქალაქებში შეიქმნა პირველი კომუნისტური შრომის ბრიგადები.

ვის სურს ჩვენს ქარხანაში პირველი გამოეხმაუროს ახალგაზრდობის თაოსნობას, ვინ ითავებს პირველი კომუნისტური შრომის ბრიგადის შექმნას?

ტრიბუნისაკენ გაემართა შავგვრემანი ახალგაზრდა არჩილ ძამაშვილი.

ამ ამბიდან განვლო არცთუ ისე ცოტა დრომ. არჩილ ძამაშვილი ახლა მეტალურგთა ქალაქში ცნობილი კაცია. მკერდს უმშვენებს სოციალისტური შრომის გმირის ვარსკვლავი, ლენინის ორდენი და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის ნიშანი.

არჩილ ძამაშვილის ბიოგრაფიის შესახებ საუბარი შეიძლება ასე დავიწყოთ: ის დაიბადა გარდაბნის რაიონის სოფელ მარტყოფში, კოლმეურნის ოჯახში. პირველ ხანებში სწავლასთან ერთად მშობლებს ეხმარებოდა მეურნეობაში, ხოლო როცა გამოქვეყნდა ცნობა რუსთავის მეტალურგიული ქარხნისათვის კადრებია საჭირო და ამ კადრების მოსამზადებლად დონეცკში წასვლაა აუცილებელიო, არჩილი ასობით ქართველ ახალგაზრდასთან ერთად გაემგზავრა უკრაინაში.

1944 წელი; დონეცკი. არჩილი წარმატებით ეუფლება მეაირის პროფესიას.

გადიოდა წლები. იზრდებოდა არჩილი. შენდებოდა რუსთავის მეტალურგიული ქარხანა. ის უკვე საჭიროებდა კადრებს. დადგა უკრაინიდან ქართველი მეტალურგების გამომგზავრების დრო.

არჩილი რუსთავში მაშინ ჩამოვიდა, როცა საბრძმედე საამქროში პირველი ღუმელი უნდა ამუშავებულიყო.

პირველი ღუმელიდან არჩილი მეორე ღუმელზე გადაიყვანეს. ეს უკანასკნელი შედარებით გვიან ამოქმედდა. ამ დროისათვის არჩილს უკვე ჰქონდა დნობის მდიდარი გამოცდილება. მიუხედავად ამისა, იგი მაინც განაგრძობდა სწავლას, ხშირად ესაუბრებოდა ამა თუ იმ საკითხებზე საამქროს ხელმძღვანელებს, გამოცდილ მუშებს.

მეორე ღუმელზე გადასვლიდან ცოტა ხნის შემდეგ არჩილს ბრიგადის ხელმძღვანელობა შესთავაზეს. მერე კი საამქროში უფროს ოსტატად დააწინაურეს.

ასე დაიწყო არჩილ ძამაშვილის ცხოვრებაში, ერთი წლის წინათ ახალი პერიოდი. მომავალი ჯერ კიდევ წინ აქვს. მთავარია მონდომება და საქმის სიყვარული. ამ მხრივ კი არჩილს სამდურავს აბა ვინ ეტყვის!

ამომრჩევლები უდიდესი კმაყოფილებით შეხვდნენ წინადადებას არჩილ ვასილის-ძე ძამაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ხელმეორედ წამოყენების შესახებ.

ასე ფასდება ბეჯითი და მონდომებული შრომა.

**ზ. მერკვილაძე.**

## სიმაღლეები

ყველა სიმაღლე უნდა ავიღოთ! —
სიმაღლეების ავიღოთ ზღუდე.
ჩვენ ვიცით, რა ვართ, რა უნდა
ვიყოთ,
და არ გვივლია ამ გზაზე მრუდედ.

ყველა სიმაღლე უნდა ავიღოთ! —
ჩვენი გულები სიმართლით ძგერენ.
ჩვენ ვიცით, რა ვართ, რა უნდა
ვიყოთ
ათი წლის მერე,
ასი წლის მერე!

ყველა სიმაღლე უნდა ავიღოთ! —
ასე გვასწავლის პარტია ბრძენი.
ჩვენ ვიცით, რა ვართ, რა უნდა
ვიყოთ
და რას გვასწავლის ლენინი ჩვენი!

ყველა სიმაღლე უნდა ავიღოთ! —
სიმაღლეებო, ამაღლდით კიდევ!
ჩვენ ვიცით, რა ვართ, რა უნდა
ვიყოთ,
რა უნდა ვთესოთ, რას უნდა ვმკიდეთ!

ყველა სიმაღლე უნდა ავიღოთ! —
მიუღწეველი სიმაღლე, დიდი.
ჩვენ ვიცით, რა ვართ, რა უნდა
ვიყოთ!
ჩვენ ვიცით, ეს გზა საითკენ მიდის.

ყველა სიმაღლე უნდა ავიღოთ! —
სიმაღლეების ავფრინდეთ ქიმზე.
აი რა ვართ და რა უნდა ვიყოთ,
რა მომავალი გვიცდის და გვიმზერს.

**ევგენი ბართაია.**

## საპატიო გზა

**ელენე** არამის ასულმა კარსლიევამ 18 წლის წინათ მღელვარებით შეაღო საკლასო ოთახის კარი. მძიმე იყო პირველი წლები. მაგრამ გულმოდგინე შრომამ, საქმის ერთგულებამ და სიყვარულმა თავისი გაიტანა და ელენე არამის ასულმა მალე მოიპოვა ავტორიტეტი და სიყვარული. მან არა მარტო ის იცის, თუ როგორ სწავლობს მისი თვითეული მოსწავლე, არამედ იცის, თუ როგორია მისი საყოფაცხოვრებო პირობები, ვინ არიან მშობლები, როგორ იქცევიან ისინი ამხანაგებთან, პიონერულ კომკავშირულ ორგანიზაციაში. ამიტომ შეიყვარა სოფელმა საგანგებოდ ელენე კარსლიევა.

— თუ პედაგოგი თავის საგანს ღრმად არ არის დაუფლებული, თუ საკუთარ საქმეს გულისყურით არ ეკიდება, იგი მოსწავლეების სიყვარულს ვერ დაიმსახურებს ამბობს იგი:

გამოცდილი მასწავლებელი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს არა მარტო მოსწავლეთა შორის, არამედ თავის კოლეგებშიც, მისგან ბევრს სწავლობენ ახალგაზრდა პედაგოგები. იგი სკოლაში სასწავლო ნაწილის გამგეა და ჩვეული მზრუნველობით დასტრიალებს თავს ახალგაზრდებს, რომლებიც პირველ ნაბიჯს დგამენ პედაგოგიურ მოღვაწეობაში.

მისი ყოველი შენიშვნა, დარიგება გულშიჩამწვდომი და დასამახსოვრებელია მათთვის. ეს მათ უნერგავს რწმენას, გამბედაობას, უფრო თამამად შედიან კლასში გაკვეთილის გადასაცემად.

წალკის საშუალო სკოლის პედკოლექტივმა ღვაწლმოსილი პედაგოგი რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა. წინ დიდი გზაა, საპატიო და საამაყო.

**დ. აბუთიძე.**

## ლაზი გოგონა

**წარსულში** ლაზ ქალს არათუ საზოგადოებრივ ცხოვრებასა და საქმიანობაში მონაწილეობის, არამედ უჩადროდ ეზოში გამოსვლის უფლებაც არა ჰქონდა. ახლა ლაზი ქალები მამაკაცების მხარდამხარ მონაწილეობენ სამეურნეო და საზოგადოებრივ საქმიანობაში. ბევრმა ბეჯითი შრომით ხალხის სიყვარული და ნდობა დაიმსახურა. ერთ-ერთი მათგანია ლაზი გოგონა ლამარა ქორიძე.

1959 წელს ლამარა ქორიძემ, ჯერ კიდევ მერვე კლასის მოსწავლემ, ერთ ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი მოკრიფა. მალე მას კოლმეურნეობის გამგეობამ ერთი ჩამორჩენილი რგოლის ხელმძღვანელობა დაავალა.

1961 წელს რგოლმა ვალდებულება წარმატებით შეასრულა.

მოპოვებულმა წარმატებებმა ფრთები შეასხა ლამარას და მისი რგოლის წევრებს. მათ 1962 წელს კიდევ უფრო მეტი მუყაითობა გამოიჩინეს. საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 6.757 კილოგრამზე მეტი ჩაის ფოთოლი. პირადად ლამარამ 3 ათას კილოგრამზე მეტი ფოთოლი მოკრიფა.

წინა საარჩევნო კრებაზე სარფელმა მშრომელებმა ერთხმად დაასახელეს ლამარა მუსტაფას ასული ქორიძე აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

**რ. გორგაძე.**



ხალხის რჩეულთა შორის, რომლებსაც დღეს ხმას მისცემენ ამომრჩევლები, არიან ჩვენი რესპუბლიკის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, მხატვრული სიტყვის ოსტატები. სურათზე: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები, ცნობილი ქართველი მწერლები (მარცხნიდან) სერგი ჭილაია, ბესარიონ ჟღენტი, გიორგი ლეონიძე და გრიგოლ აბაშიძე. ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## ლაპარაკობს ხუთი დედაქალაქი

### არჩევნები მოძმე რესპუბლიკებში

დღეს ზეიმია შუა აზიაში, ბალტიისპირეთში, ამიერკავკასიაში... მზის მარშრუტით მოიწევდა დიდი დღესასწაული ხალხთა გულებში, ჩვენი სამშობლოს სივრცეებზე აღმოსავლეთიდან... პირველ ბიულეტენებს საარჩევნო ყუთებში დღეს მოძმე ყირგიზები ჩაუშვებენ, მერე საარჩევნო უბნები გამოცოცხლდება აზერბაიჯანში, სომხეთში, საქართველოში, შემდეგ მზე დღესასწაულს ბალტიისპირეთში გადაიტანს — ერთი საათით გვიან ამიერკავკასიაზე ესტონეთისა და ლიტვის მშრომელები დაიწყებენ რესპუბლიკის პარლამენტისა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებს.

ახლა, როდესაც ამ სტრიქონებს კითხულობთ, დიდი სახალხო დღესასწაულია ექვს რესპუბლიკაში. „კომუნისტის" კორესპონდენტი დაუკავშირდა ტელეფონით ხუთი რესპუბლიკის დედაქალაქებს. აი რა გვაცნობეს „კომუნისტის" (ერევანი) რედაქტორმა გ. სირცევმა, „სოვეტსკაია კირგიზიას" რედაქტორმა პ. დენისიუკმა, „სოვეტსკაია ესტონიას" რედაქტორმა ი. იურნამ, „ბაკინსკი რაბოჩის" რედაქტორმა მ. ოკულოვმა, „სოვეტსკაია ლიტვას" რედაქტორმა ვ. მეშჩერიაკოვმა.

### ერევანი



**საბჭოთა** სომხეთში დიდი დღესასწაულია. რესპუბლიკის მშრომელები დღეს ულეველ ნაკადად წავლენ საარჩევნო უბნებისაკენ, რათა რესპუბლიკის პარლამენტსა და ადგილობრივ საბჭოებში წარგზავნონ დეპუტატობის ღირსეული კანდიდატები.

ამომრჩევლები დღეს საარჩევნო ბიულეტენებზე ამოიკითხავენ იმ ადამიანთა გვარებს, რომლებმაც საქმით დაამტკიცეს კომუნიზმისა და ხალხის ერთგულება, ღირსეული წვლილი შეიტანეს პარტიის მიერ დასახულ გრანდიოზულ ამოცანათა განხორციელებაში.

ესენი არიან პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორები, ცნობილი მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები.

ორგანიზებულად, პარტიისა და მთავრობის გარშემო ხალხის მჭიდრო დარაზმულობის ვითარებაში ჩაიარა ამ დღეებში დეპუტატობის კანდიდატებთან შეხვედრებმა.

დღეს არჩევნებში მონაწილეობას იღებენ საბჭოთა კავშირის ახალი მოქალაქენი. ესენი არიან ირანიდან, კვიპროსიდან, არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკიდან, მამაპაპურ მიწაზე ამას წინათ დაბრუნებული სომხები.

ეგრეთწოდებული „თავისუფალი სამყაროდან" დაბრუნებულმა სომხებმა თავისუფლად მხოლოდ სამშობლოში ამოისუნთქეს. ისინი ჩაებნენ საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში, აშენებენ კომუნიზმის მატერიალურ ტექნიკურ ბაზას, ამრავლებენ სომეხი ხალხის მიღწევებს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, მეცნიერებასა და კულტურაში. ეს მიღწევები კი ძალიან დიდია. შვიდწლედის პირველ ოთხ წელიწადში ეროვნული შემოსავალი გაიზარდა 41 პროცენტით. წლითიწლობით იზრდება მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები, რომლებიც ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის ამაღლებას ხმარდება. ამ წლებში სახალხო განათლებისა და სამედიცინო მომსახურების, სოციალური დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფის დარგში დაიხარჯა 700 მილიონი მანეთი.

საბჭოების არჩევნები დიდი დღესასწაულია. საბჭოთა სომხეთის მშრომელები საზეიმო ვითარებაში აძლევენ ხმას კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის კანდიდატებს, ამით ხმას აძლევენ ნათელ მომავალს.

### ფრუნზე



**50 წლის წინათ** ყირგიზეთის კულტურისა და ეკონომიკის დონე თითქმის ისეთივე იყო, როგორიც მისი მეზობელი ავღანეთისა.

მას შემდეგ, რაც ყირგიზეთი სოციალისტური გახდა და ხალხთა ძმობის დიდ კავშირში გაერთიანდა, გიგანტური ნაბიჯებით წავიდა წინ და ბევრად გაუსწრო თავის მეზობელ ქვეყნებს: ავღანეთს, პაკისტანს, ირანს და თურქეთს. მაგალითად, დღეს ყირგიზეთი გაცილებით მეტ ქვანახშირს იღებს, ვიდრე ავღანეთი, ერთ სულ მოსახლეზე აქ მეტ ქვანახშირს იღებენ, ვიდრე იტალიასა და იაპონიაში. ხოლო ელექტროენერგიას ერთ სულ მოსახლეზე 80-ჯერ მეტს, აწარმოებენ ვიდრე ავღანეთში.

ყირგიზეთის სამრეწველო პროდუქცია იგზავნება მსოფლიოს 85 ქვეყანაში. შაქრის მრეწველობაში ყირგიზეთმა გაუსწრო საფრანგეთს, იტალიას და დასავლეთ გერმანიას; ხოლო მატყლის წარმოებაში მეოთხე ადგილი უჭირავს მსოფლიოში ახალი ზელანდიის, ავსტრალიისა და არგენტინის შემდეგ.

ასეთივე შესანიშნავი წარმატებები აქვს მოპოვებული ყირგიზეთის სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

მარტო შვიდწლედის მეოთხე წელს რესპუბლიკაში სათესი ფართობები გადიდდა 20 ათასი ჰექტარით და მიაღწია 1 მილიონ 227 ათას ჰექტარს. ამავე პერიოდში 24 ათასი სულით გაიზარდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა. ყირგიზეთმა სახელმწიფოს მიჰყიდა: ხორცი — 10,7 ათასი ტონით, რძე — 22,5 ათასი ტონით, მატყლი — 2244 ტონით, კვერცხი — 14 მილიონი ცალით მეტი ვიდრე გასულ წელს. აშენდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, მანქანათმშენებლო ტექნიკუმის, საჯარო ბიბლიოთეკის შენობები, საექსპლოატაციოდ გადაეცა 545 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

ყირგიზეთი სიხარულით ეგებება სახალხო დღესასწაულს — ადგილობრივი საბჭოებისა და რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს.

ხვალინდელი დღე ყირგიზეთს კიდევ უფრო ააყვავებს და დაამშვენებს.

### ტალინი



**დღეს** ესტონეთის ქალაქებისა და სოფლების, დაბებისა და დასახლებული პუნქტების ქუჩები ზღვა ხალხით ივსება: ესტონელი ხალხი ირჩევს ღირსეულ კანდიდატებს რესპუბლიკის პარლამენტსა და ადგილობრივ საბჭოებში.

ესტონელი მშრომელები არჩევნებს ხვდებიან მრეწველობაში, მშენებლობაში, სოფლის მეურნეობაში, მეცნიერებასა და კულტურაში მოპოვებული ახალი წარმატებებით.

ბურჟუაზიული ხელისუფლების პირობებში ესტონეთი ევროპის მიყრუებული კუთხე იყო. საბჭოთა ხელისუფლების წლებში კი ინდუსტრიული რესპუბლიკა გახდა. ესტონეთის მთავარი სიმდიდრეა საწვავი ფიქალი. ადამიანის ტვინმა და მარჯვენამ ფიქალი ელექტროენერგიად აქცია. ბალტიისპირეთის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური, რომელიც ფიქალებს იყენებს ნედლეულად, დღეღამეში უშვებს უფრო მეტ ელექტროენერგიას, ვიდრე ბურჟუაზიული ესტონეთის ყველა ელექტროსადგური ერთად.

შორს რესპუბლიკის საზღვრებს გარეთ არის ცნობილი ესტონეთის ცემენტი. მას იყენებენ შორეული აფრიკის მშენებლობებზე. ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ მიდის ქარხანა „ვოლტას", მიერ გამოშვებული ელექტრომოტორები, აგრეთვე ტალინის მანქანათსამშენებლო ქარხნის მიერ გამოშვებული ნავთობის გადამამუშავებელი ქარხნების აპარატურა.

საბჭოთა ესტონეთი მოწინავე კულტურის რესპუბლიკაა. ათასობით სტუდენტი სწავლობს ტალინის პოლიტექნიკურ და პედაგოგიურ ინსტიტუტებში, ტარტუს სახელმწიფო უნივერსიტეტში, ესტონეთის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში. დიდს მეცნიერულ შრომას ეწევიან ესტონეთის მეცნიერებათა აკადემიისა და მის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში.

სისხლსავსე სიცოცხლე ჩქეფს ესტონეთის ყოველ კუთხეში. ავიღოთ მაგალითისათვის კუნძული საარემაა. აქ არის პატარა სოფელი ასტე. ბურჟუაზიულ ესტონეთში ეს იყო ყრუ სოფელი, დღეს ის ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილად იქცა. აქ გაიხსნა საიუველირო მაღაზია, კოლმეურნეთა ბავშვებისათვის საბავშვო ბაღი, სკოლა, მექანიზებული სამრეცხაო, გასტრონომი, ან ავიღოთ კუნძულის მეორე დასახლებული პუნქტი — სიმერა, სადაც გაიხსნა სანატორიუმი. კუნძულის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ერთიორად გაადიდეს ხორცის და რძის წარმოება.

დიდი გარდაქმნებია ტალინში. ფართო მასშტაბით მიმდინარეობს საბინაო მშენებლობა. 1962 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა 135 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, რაც 2,8-ჯერ მეტია, ვიდრე 1958 წელს — წინა არჩევნების წელს.

ესტონელი ხალხი ამაყობს საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოპოვებული წარმატებებით, ამიტომაც იგი არჩევნებზე მიდის როგორც დიდ სახალხო დღესასწაულზე.

### ბაქო



**ახალი შრომითი** გამარჯვებებით ეგებება საბჭოთა აზერბაიჯანი არჩევნების დღეს.

რესპუბლიკის პარლამენტისა და ადგილობრივი საბჭოების წინა არჩევნებიდან ოთხი წელიწადი გავიდა.

ოთხი წელი! ეს არც თუ ისე დიდი დროა, მაგრამ რა შორს წავიდა საბჭოთა აზერბაიჯანი მომავლისაკენ მიმავალ გზაზე! საითაც გაიხედავ, ყველგან ახალმშენებლობათა ხარაჩოები აღმართულან ცისკენ. სულ უფრო შორს მიაბიჯებენ კასპიის ზღვაში ნავთობის ჭაბურღილები. ახალი საცხოვრებელი სახლები ემატება მშვენიერ ბაქოს. ინდუსტრიის ჩირაღდნები აენთო ახალგაზრდა ქალაქ სუმგაითში.

ნავთობისა და ბამბის რესპუბლიკას ეძახდნენ ადრე აზერბაიჯანს. მაგრამ დღეს ეს სახელწოდება ვერ გვიხატავს რესპუბლიკის სახეს. ქიმია, ენერგეტიკა, სამთამადნო მრეწველობა ღირსეულ ადგილს იჭერს რესპუბლიკის ეკონომიკაში. წლითიწლობით იზრდება ჩვენი წინსვლის ტემპი. რესპუბლიკის პარლამენტის წინა არჩევნებიდან დღემდე სამრეწველო პროდუქციის წარმოება გაიზარდა 42 პროცენტით. შვიდწლედით გათვალისწინებულ მაჩვენებლებს გადავაჭარბეთ ნავთობის წარმოებაში 886 ათასი ტონით, სამშობლოს გეგმის გადამეტებით მივეცით ასეულ ათასობით ტონა რკინის მადანი, ფოლადი, ნაგლინი და სხვა პროდუქცია.

აზერბაიჯანმა მარტო 1962 წელს გამოიმუშავა უფრო მეტი ელექტროენერგია, ვიდრე 1920-1936 წლებში, ხოლო წინა არჩევნებიდან დღემდე კაპიტალდაბანდებათა მოცულობა 2,7-ჯერ უფრო მეტია, ვიდრე 1920-1946 წლებში.

ეს მხოლოდ ციფრებია, მაგრამ ამ ციფრებს უკან დგას ამომრჩეველთა — კასპიის მენავთობეთა, სუმგაითელ მეტალურგთა, დაშქესნელ მაღაროელთა, მინგეჩაურელ ენერგეტიკოსთა და მრავალთა სხვათა შრომა, რომლებიც განამტკიცებენ თავიანთ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას და მთელ ძალღონეს ახმარენ კომუნიზმის მშენებლობის საქმეს.

წარმატებას აღწევს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა. მარტო 1962 წელს აზერბაიჯანის სოფლის მშრომელებმა სამშობლოს მისცეს 280 ათასი ტონა ბამბა, 43,7 მილიონი ფუთი მარცვლეული, 14,4 ათასი ტონა თამბაქო, 192 ათასი ტონა ყურძენი და ხილი, 303 ათასი ტონა ბოსტნეული, 75 ათასი ტონა ხორცი, 362 ათასი ტონა რძე, 9 ათასამდე ტონა მატყლი.

ჰყვავის და იფურჩქნება აზერბაიჯანელი ხალხის კულტურა. დღითი დღე მშვენიერდება და ლამაზდება ცეცხლის ქვეყნის უძველესი დედაქალაქი ბაქო.

აზერბაიჯანის ბედნიერი მშრომელები დღეს ხმას აძლევენ თავიანთი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის შემდგომ აყვავებას.

### ვილნიუსი



**ლიტვის სს რ**ესპუბლიკის მშრომელები შვიდწლედის დავალებათა განაღდებით შეეგებნენ არჩევნების დღეს. მივმართოთ ციფრებსა და ფაქტებს.

სულ ახლახან დამთავრდა კაუნასის ჰესის მშენებლობა, სამრეწველო დენი მოგვცა ლიტვის სახელმწიფო რაიონულმა ელექტროსადგურმა, რომლის სიმძლავრე 150 ათას კილოვატ საათს აღემატება. წინა არჩევნების შემდეგ რესპუბლიკამ მიიღო დაშავის ბუნებრივი გაზი, რომლის მშენებლობაზე ხელიხელჩაკიდებულნი შრომობდნენ რუსები და ლიტველები, უკრაინელები და ქართველები, ბელორუსები და ლატვიელები... ამ შვიდწლედში აშენდა პანევეჟში გიგანტი ქარხანა „ლიტკაბელი". პირველი სამრეწველო პროდუქცია მოგვცა დიდი ქიმიის პირმშომ — კედაინის ქიმიურმა კომბინატმა.

აღმავლობის გზით მიდის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა. გაიზარდა ხორცის, რძის, მატყლისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოება. მარტო 1962 წელს რესპუბლიკაში წარმოებულ იქნა 86,2 ათასი ტონა ხორცი, 652 ათასი ტონა რძე, სახელმწიფოს მიეყიდა 61,4 მილიონი ცალი კვერცხი, 4,6 ათასი ცენტნერი მატყლი, 1962 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა 711 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ეს 66 ათასი კვადრატული მეტრით მეტია, ვიდრე 1961 წელს.

დღეს რესპუბლიკის ამომრჩევლები ხმას აძლევენ კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის ღირსეულ კანდიდატებს და ამით ცხადყოფენ მჭიდრო დარაზმულობას მშობლიური პარტიისა და მთავრობის გარშემო.

დღეს ლიტვა ხმას აძლევს თავის ბრწყინვალე მომავალს.

# „თავისუფალი სამყარო" უთავისუფლებოდ

## ბურჟუაზიული პარლამენტარიზმი, როგორც იგი არის • ვინც ფულს იხდის — ის უკვეთს...

[illegible]

[illegible]

# მაკარენი ლინკოლნის წინააღმდეგ

### ამერიკა ამერიკელის თვალით

**წელს** პირველად დავესწარი წინასაარჩევნო კრებას საბჭოთა კავშირში. მოსკოვის ლენინგრადის რაიონის მცხოვრებლები ასახელებდნენ რსფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს. დეპუტატობის კანდიდატი გახდა საათის მეორე ქარხნის საამწყობო სამქროს მუშა ქალი. იმ ადამიანთა უმრავლესობას, რომლებიც ჩემთან ერთად კრებას ესწრებოდნენ, მუშები შეადგენდნენ. ჩემს გვერდით იდგნენ საათის ქარხნის, პურის ქარხნის მუშაკები, ელექტრიკოსები, მანქანათმშენებლები, ავტობუსების მძღოლები, მეეზოვეები, გამომცემლობა „პრავდის" მეგაზეთეები. მე, ამერიკული მუშათა გაზეთის ჟურნალისტი, თავს ჩემიანებს შორის ვგრძნობდი. და გამახსენდა, როგორ წარმოებს არჩევნები ჩემს ქვეყანაში.

დიახ, მე შეერთებულ შტატებში არჩევნებში მონაწილეობის მდიდარი გამოცდილება მაქვს შეძენილი. მახსოვს, ნიუ-იორკის მუნიციპალიტეტში პირველად როგორ აირჩიეს ბენჯამინ დევისი — ზანგი და კომუნისტი. პოლიტიკანები, რომლებიც აცხადებდნენ, არც ზანგი, არც კომუნისტი არასოდეს არ შეიძლება არჩეულ იქნან ამერიკის ხელისუფლების ორგანოებში, პირში ჩალაგამოვლებული დარჩნენ. ეს მოხდა 1943 წელს, როცა პროგრესული კაცობრიობა გადამწყვეტ ბრძოლას აწარმოებდა ჰიტლერიზმის წინააღმდეგ.

მაგონდება საოცარი კრება ნიუ-იორკის ზანგთა კვარტალში ჰარლემში იმ წლის არჩევნების წინ. უზარმაზარ დარბაზში ათასობით მუშა შეიკრიბა. მქუხარე ტაშით შეხვდნენ დევისის სიტყვებს იმის შესახებ, რომ საჭიროა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სსრ კავშირს შორის კავშირის განმტკიცება ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებსაც სურთ მონებად გადააქციონ ყველა მშრომელნი.

და მიუხედავად ამისა, ექვსი წლის შემდეგ ბენ დევისი გამოყვანილ იქნა მუნიციპალიტეტიდან. პოლიტიკანებმა ვერ შეძლეს მისი დამარცხება დემოკრატიული გზით. მაშინ მათ შეცვალეს საარჩევნო კანონები და გააუქმეს პროპორციული წარმომადგენლობის სისტემა. მაგრამ ეს მათ საკმარისი არ ეჩვენათ. წინასაარჩევნო კამპანიის დღეებში იუსტიციის სამინისტრომ მის წინააღმდეგ სასამართლო საქმე შეთითხნა. ამერიკის მუშათა კლასის სახელოვანი წარმომადგენელი ხუთი წლით ციხეში გამოამწყვდიეს. ახლა კი რეაქციონერებს კვლავ უნდათ მაკარენის ფაშისტური კანონებს ამოფარებით ჩააგდონ იგი საპყრობილეში. ეს კანონი ახლა იმ ძალების შავი დროშა ხდება, რომლებიც სპობენ თავისუფლების ნაშთებს ლინკოლნისა და ჯეფერსონის ქვეყანაში.

მაგონდება აგრეთვე მღელვარე წინასაარჩევნო კრებები, როცა კონგრესში კენჭს იყრიდა პროგრესული მოღვაწე ვიტო მარკანტონიო. მაკარტიზმის პარპაშის ეპოქაში 16 წლის მანძილზე იგი იყო წარმომადგენელი ჰარლემის იტალიელი, პუერტორიკოელი და ზანგი მოსახლეობისა კონგრესში, სათავეში ედგა ბრძოლას მშვიდობისათვის, მუშათა უფლებებისათვის, მეწარმეთა და სახლთმფლობელთა წინააღმდეგ.

ბურჟუაზიული პარტიების ბოსებს ესმოდათ, რომ სანამ მარკანტონიო კენჭს იყრის მუშათა ოლქში, ისინი ვერ შეძლებენ მის დამარცხებას არჩევნებში. მათ აიძულეს მთავრობა ამ საარჩევნო ოლქისათვის მიემატებინა მდიდარი ამერიკელებით დასახლებული რაიონი. მაგრამ მუშები კიდევ უფრო მჭიდროდ შეკავშირდნენ და კვლავ დაამარცხეს რეაქცია.

როცა ვაშინგტონმა გააჩაღა ომი კორეაში, მარკანტონიომ უშიშრად დაიწყო ბრძოლა მშვიდობისათვის. მორიგ არჩევნებში რესპუბლიკელები და დემოკრატები გაერთიანდნენ მის წინააღმდეგ და წამოაყენეს თავიანთი „ორპარტიული" კანდიდატი. პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით ატეხილი დევნის ველური კამპანიის დახმარებით რე- [illegible]

კანონები მოწოდებული არიან მოიმოქმედონ ყველაფერი, რათა ამერიკის ორ უდიდეს იმპერიალისტურ პარტიას მეტოქეები არა ჰყავდეს. ამ კანონებს თავიანთი ვარიანტები აქვთ ორმოცდაათსავე შტატში.

მაგალითისათვის ავიღოთ ნიუ-იორკის შტატი. ამ შტატის კანონების თანახმად, პარტიამ, რომელმაც წინა არჩევნებში ხმების განსაზღვრული რაოდენობა ვერ მიიღო, უნდა წარადგინოს დეპუტატობის კანდიდატთა ახალი სია. ამასთან ეს სიები ხელმოწერილი უნდა იყოს 50 რეგისტრირებული ამომრჩევლის მიერ შტატის 62 რაიონიდან თითოეულში, მათ შორის შორეულ მთიან რაიონებშიც. აქ კი კომპარტიის კანდიდატები დიდ სიძნელეებს ხვდებიან: ამომრჩევლებს ეშინიათ სამუშაოს დაკარგვისა, ეშინიათ, რომ „ულტრები" მათ სახლებს დაუწვავენ, ეშინიათ ხელისუფალთა მხრივ დევნისა.

მაგრამ ომის გამჩაღებლები ყველა დამოუკიდებელ კანდიდატს ვერ იშორებენ თავიდან. პროფესორი სტიუარტ ჰიუზი გასული წლის ნოემბრის არჩევნების დროს სათავეში ჩაუდგა მშვიდობისათვის ბრძოლის კამპანიას მასაჩუსეტსის შტატში. იგი მრავალ მიტინგზე გამოდიოდა და გმობდა მთავრობის ცდებს მოეწყო ინტერვენცია კუბის წინააღმდეგ. იგი გაბედულად წინააღუდგა ორ მილიონერს, რომლებიც კენჭს იყრიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების სენატში: დემოკრატ ედვარდ კენედის, პრეზიდენტის უმცროს ძმას, და რესპუბლიკელ ჯორჯ ლოჯს.

მასაჩუსეტსის შტატის კანონის თანახმად ჰიუზს უნდა შეეგროვებინა ამომრჩეველთა 75 ათასი ხელმოწერა, რომ წამოეყენებინა თავისი კანდიდატურა არჩევნებში. მან 140 ათასი ხელმოწერა შეაგროვა. ხელმომწერთაგან ბევრი იყო რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიების ერთგული მომხრე. მათ მხარი დაუჭირეს ადამიანს, რომელიც მშვიდობის ინტერესებს იცავდა. მაგრამ ჰიუზმა ვერ შეძლო წინააღმდეგობა გაეწია ორი უდიდესი პოლიტიკური პარტიის პოლიტიკური მანქანისათვის. არჩეულ იქნა კენედი. და მაინც წინასაარჩევნო კამპანიამ ცხადყო, რომ ისეთ კონსერვატიულ შტატშიც კი, როგორიც მასაჩუსეტსია, გარდატეხა ისახება.

**არტ შილდსი,**
ამერიკელი პუბლიცისტი.

## ბინძური არჩევნები

### პოლიციელის ხელკეტი კანონის „თანაავტორია"

...1960 წლის 20 მაისის წინაღამეს იაპონიის პარლამენტი ნამდვილ ბრძოლის ველს წარმოადგენდა. ქვედა პალატის სხდომის დროს პარლამენტის შენობაში 500 პოლიციელი შეიჭრა და ოპოზიციის დეპუტატების ცემა-ტყეპა გამართა. ოპოზიციის 100-ზე მეტი დეპუტატი ძალით გარეკეს პარლამენტის შენობიდან.

ხოლო ამასობაში მთავრობის მომხრე უმრავლესობამ, რომელსაც პოლიცია იცავდა, რამდენიმე წუთში გაითამაშა ამერიკელ იმპერიალისტებთან სამხედრო ხელშეკრულების „დამტკიცების" უბადრუკი სცენა. ეს ხელშეკრულება დღემდე მოქმედებს.

ასეთი სახე აქვს სინამდვილეში „საპარლამენტო დემოკრატიის" მექანიზმს იაპონიაში. გასაკვირველი როდია, რომ ბურჟუაზიული გაზეთი „იომიურიც" კი იძულებული გახდა განეცხადებინა, რომ „პარლამენტის ახლანდელი რიგგარეშე სესიის მუშაობა ფანტავს იაპონიაში პარლამენტური დემოკრატიისადმი ხალხის რწმენის უკანასკნელ ნაშთებს".

იაპონიაში ამბობენ: „ვისაც მეტი ფული აქვს, ის დეპუტატიც არის". მოსყიდვას, ხმების ყიდვას, „საჩუქრებს" — ყოველივე ამას ფართოდ იყენებენ წინასაარჩევნო კამპანიის დროს.

იაპონიის პარლამენტის ერთ-ერთ სესიაზე შუქი მოჰფინეს ფაშისტური ორგანიზაციების მჭიდრო კავშირს ფინანსისტთა წრეებთან და მმართველი კონსერვატორიული პარტიის ხელმძღვანელობასთან. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არასრული მონაცემებით, სხვადასხვა მემარჯვენე ორგანიზაციებმა მონოპოლიებისა და პარტიული ბოსებისაგან 22 მილიონი იენა მიიღეს. მაგრამ, კიოდო ცუსინის სააგენტოს გამოთქმით, ეს მხოლოდ პატარა, წყალზედა ნაწილია იმ აისბერგისა, რომელიც წყალქვეშ არის დამალული.

არჩევნებში გამარჯვებას რომ მიაღწიონ, რეაქციული ძალები არაფერს არ თაკილობენ. პოლიტიკური ბოსები განგსტერთა ბანდებს ქირაობენ, თავიანთ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს რომ გაუსწორდნენ. პრესაში გაიპარა მასალები იმ გარემოებათა გამოძიებისა, რომლებშიც წინასაარჩევნო კამპანიის დროს მოკლულ იქნა სოციალისტური პარტიის თავმჯდომარე ასანუმა. ეს მასალები ამხილებენ იაპონელი ფაშისტებისა და მათი მფარველების შორსგამიზნულ გეგმებს. მკვლელს — ეგრეთწოდებული „აზიის ანტიკომუნისტური ახალგაზრდობის ლიგის" წევრს — ჯიბეში აღმოაჩნდა იმ პირთა სია, რომელთა მოსპობაც სურთ ფაშისტებს. ამ სიაშია იაპონიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის ნოსაკას, მასწავლებელთა სრულიად იაპონიის პროფკავშირის ლიდერის კობაიასის და დემოკრატიული მოძრაობის მთელ რიგ სხვა წამყვან მოღვაწეთა სახელები.

„ბინძური არჩევნები, ძირმომპალი პოლიტიკა" — ასე ახასიათებს იაპონიის უდიდესი გაზეთი „ასახი" თანამედროვე იაპონურ „პარლამენტარიზმს".

# პარლამენტის დინოზავრები

### საარჩევნო კამპანიას აწყობს... სამხედრო ხროვა

ერთმა კოლუმბიელმა ჟურნალ „ლა ნუევა პრენსას", რომელიც ბოგოტაში გამოდის, ასეთი შეკითხვით მიმართა: როგორია ჩვენი პარლამენტის შემადგენლობა? არიან თუ არა იქ მუშები, გლეხები, წვრილი მოსამსახურეები?

პარლამენტში „არც ერთი ადგილი არ არის მუშებისათვის, მშრომელი გლეხობისა და მოსამსახურეებისათვის", — უპასუხა ჟურნალმა...

სამაგიეროდ იქ არიან: 29 ვაჭარი, 32 მემამულე, 98 ადვოკატი, აგრეთვე სამსახურიდან გადამდგარი სამხედრო პირები, ჟურნალისტები და სხვა პოლიტიკანები. ამ ადამიანებს კოლუმბიაში „დინოზავრებს" ეძახიან — და არცთუ უსაფუძვლოდ. ისინი კოლუმბიის ყველაზე რეაქციულ ოლიგარქიულ ჯგუფებს წარმოადგენენ. მათ ერთი საზრუნავი აქვთ — შეინარჩუნონ ნახევრადფეოდალური წესები სოფლად და შრომის მონური პირობები ქალაქად.

კოლუმბია გამონაკლისი როდია სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე. ლათინური ამერიკის ბევრი ქვეყნის პარლამენტები სავსეა „დინოზავრებით". საკითხავია: რატომ ხდება ასე?

პასუხის გაცემა ძნელი არ არის. მიმდინარე წლის დამდეგს არჩევნები გაიმართა პარაგვაისა და ნიკარაგუაში. ორივე ქვეყანა, ვაშინგტონის სტანდარტების მიხედვით, „დემოკრატიულია", თუმცა მთელი მსოფლიოსათვის ცნობილია პარაგვაის დიქტატორის სტრესნერისა და ნიკარაგუაში სომოსას ტირანიული დინასტიის სისხლიანი ბოროტმოქმედებანი.

სტრესნერმა თვითონ მოაწყო წინასაარჩევნო კამპანია, თვითონ შეარჩია თავისი „ოპონენტიც" — მიხრწნილი და ნაკლებად ცნობილი სპორტული მოღვაწე გავილანი. არჩევნები მიმდინარეობდა „სიმშვიდისა და წესრიგის" ვითარებაში. 700 ათასი კაცი, ანუ ქვეყნის მოსახლეობის მესამედი ნაწილი, ამ დროისათვის ემიგრაციაში იმყოფებოდა, რომ თავი ეხსნა სტრესნერის ტერორისაგან, დანარჩენი უკმაყოფილონი კი საკონცენტრაციო ბანაკებში იყვნენ გამომწყვდეულნი. დიქტატორის სამსახურში მყოფი ჯალათები ამასაც არ დასჯერდნენ და არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე სიკვდილით დასაჯეს თავიანთ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა ჯგუფი, ხოლო მათი გვამები მდინარე პარანაში გადაყარეს... „არჩევნების" შედეგი: სტრესნერი „არჩეულია" პრეზიდენტად.

ძმებმა სომოსებმაც, რომლებმაც ნიკარაგუა თავიანთ სამემკვიდრეო მამულად გადააქციეს, გადაწყვიტეს „არჩევნები" მოეწყოთ. მზადება დაახლოებით ასე მიმდინარეობდა: ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს სდევნიდნენ, უკმაყოფილოებს ან საპყრობილეში ამწყვდევდნენ ან აძევებდნენ. კონსერვატიული პარტიის ლიდერმა ფერნანდო აგერო როჩამაც კი ამჯობინა თავი შეეკავებინა არჩევნებში მონაწილეობისაგან. მისი სიტყვით, არავითარი გარანტია არ იყო, რომ ხმის მიცემა ფარული იქნებოდა, ხოლო ხმების დათვლა — სწორი. „არჩევნების" დღეს დახვრიტეს დემოკრატები, რომლებიც პროტესტს აცხადებდნენ ძმების სომოსების დიქტატურის წინააღმდეგ. პრეზიდენტის სავარძელში აღმოჩნდა ამ ძმების განსვენებული მამის ყოფილი პირადი მდივანი რენე შიკი...

იმ შემთხვევაში, როცა საარჩევნო მექანიზმი უმტყუნებს, მმართველი ოლიგარქია იყენებს თავის მთავარ კოზირს — არმიას. არგენტინაში ასე მოიშორეს რეაქციულმა გენერლებმა მათთვის არასასიამოვნო პრეზიდენტი ფრონდისი და გარეკეს ურჩი პარლამენტი. ასევე მოქმედებდნენ პერუელი გენერლებიც, რომლებმაც გააუქმეს პრეზიდენტის არჩევნების შედეგები და გააჩაღეს თავიანთ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა სასტიკი დევნა.

ლათინური ამერიკის ქვეყნების ხელისუფალნი რეპრესიების მახვილს, როგორც წესი, მიმართავენ კომუნისტური პარტიების წინააღმდეგ, რომლებიც ნამდვილი დემოკრატიის დამყარებისათვის ბრძოლის ავანგარდში დგანან.

კონტინენტის ხალხები დაძაბულ, მკაცრ ბრძოლას ეწევიან, გაცოფებული „დინოზავრების" ყოვლისშემძლეობის წინააღმდეგ. და მათ იციან, რომ დადგება დღე, როცა კითხვაზე: „არიან თუ არა ჩვენს პარლამენტში მუშები, გლეხები და მშრომელი ინტელიგენცია?" — უბრალო ლათინურამერიკელი დადებით პასუხს მიიღებს.

## მხოლოდ ფაქტები

### კონგრესში ერთი მუშაც არ არის

**ამერიკის** კონგრესი უაღრესად კლასობრივ ხასიათს ატარებს. მასში წარმოდგენილი ორი პარტია — დემოკრატიული და რესპუბლიკური — მსხვილი კაპიტალის პარტიებია, რომლებიც ერთმანეთს ცვლიან მართვა-გამგეობის საჭესთან და ვითომც პოლიტიკურ ბრძოლას ეწევიან.

გასული წლის ნოემბრის არჩევნებში, როგორც ცნობილია, დემოკრატებმა გაიმარჯვეს. 315 კონგრესმენმა ანკეტაში თავი დაასახელა იურისტებად, 157-მა — მეწარმეებად და ბანკირებად, ე. ი. მონოპოლიების პირდაპირ წარმომადგენლებად. ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში ნახავთ რელიგიური კულტის მსახურს, გოლფის ყოფილ ჩემპიონს, ცირკის დირექტორს, მაგრამ იქ არ არის არც ერთი მუშა ან რიგითი მოსამსახურე, თუმცა მუშები ამ ქვეყნის მოსახლეობის 47 პროცენტს შეადგენენ.

### მაქინაციები ხმებზე

**1962 წლის** ნოემბერში საფრანგეთში გამართული არჩევნების დროს ხმის მიცემის პირველ ტურშივე კომუნისტებმა მიიღეს 4.010.809 ხმა, ე. ი. ამომრჩეველთა ხმების 22 პროცენტი, ხოლო ახალი რესპუბლიკის დაცვის კავშირმა — პრეზიდენტ დე გოლის პარტიამ — 5.847.403 ხმა, ანუ 31,9 პროცენტი. მაგრამ უსამართლო საარჩევნო სისტემისა და სხვადასხვა მაქინაციების შედეგად დე გოლის პარტიას პარლამენტში 235 დეპუტატი ჰყავს, კომუნისტებს კი — მხოლოდ 41.

### ამომრჩეველთა დუმილი

**რაც** შეეხება არჩევნებს საფრანგეთის კოლონიებში, რომლებსაც ახლა „ზღვას გაღმა დეპარტამენტებს" უწოდებენ (რეუნიონი, მარტინიკა, გვადელუპი), იქ გარეგნულადაც კი არ იცავენ არჩევნების თავისუფლებას. მაგალითად, შელშერის კომუნაში (მარტინიკა) 1962 წლის შემოდგომაზე რეფერენდუმის დროს რეგისტრირებული იყო 3.045 ამომრჩეველი, მაგრამ პრაქტიკულად დღის განმავლობაში ხმა მისცა სულ ბევრი 500 კაცმა. ამან ხელი ვერ შეუშალა მერს — კოლონიზატორთა დამქაშს — განეცხადებინა, რომ ხმა მისცა ყველა ამომრჩეველმა და რომ ყველამ თქვა „დიახ". ეტყობა მერი ხელმძღვანელობდა ანდაზით: „დუმილი თანხმობის ნიშანია".

## მძიმე სურათი

**ვაშინგტონი.** საქდესის კორესპონდენტი ვ. ვაშიდჩენკო იუწყება:

პრეზიდენტმა კენედიმ კონგრესს გაუგზავნა „მოხსენება ამერიკის სამუშაო ძალის შესახებ". მოხსენებაში მოცემულია მძიმე სურათი უმუშევრობისა ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომელიც წლითიწლობით სულ უფრო მატულობს.

ამ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში, ნათქვამია მოხსენებაში, უმუშევრობა ამერიკის სამუშაო ძალის საერთო რიცხვის საშუალოდ 5,5 პროცენტის დონეზე იყო. ეკონომიური განვითარების ტემპის შენელებასთან ერთად საერთოდ შემცირდა დასაქმება ძრეწველობის მწარმოებლურ დარგებში.

1953 წელთან შედარებით ახლა ამერიკის შეერთებულ შტატებში უმუშევრობის დონე ერთიორად გაიზარდა.

1962 წელს, აღნიშნულია მოხსენებაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში იყო საშუალოდ 4 მილიონი უმუშევარი, ანუ სამუშაო ძალის 5,6 პროცენტი. გარდა ამისა აქ იყო 2,7 მილიონი ნაწილობრივ უმუშევარი.

1962 წელს საბოლოო ანგარიშით 14 მილიონი ამერიკელი გარკვეულ პერიოდში უმუშევარი იყო. აქედან 4 მილიონზე მეტი კაცი უმუშევარი იყო დიდხანს (15 კვირას ან მეტხანს).

ზანგთა შორის უმუშევრობა ერთიორად მეტია, ვიდრე თეთრკანიანთა შორის. უმუშევრობა ამერიკის ახალგაზრდობის უბედურებაა. 16-21 წლის ყოველი შვიდი ამერიკელი ახალგაზრდიდან ერთი უმუშევარია.

უმუშევრობა ამერიკის შეერთებულ შტატებში, როგორც აღნიშნულია შრომის სამინისტროს მოხსენებაში, პროცენტულად გაცილებით მეტია, ვიდრე დასავლეთ გერმანიაში, იაპონიაში, შვეციაში, საფრანგეთში, ინგლისსა და იტალიაში.






**ამერიკის** შეერთებულ შტატებში მიწისქვეშა ატომური გამოცდის განახლება მსოფლიო საზოგადოებრიობის აღშფოთებას იწვევს. პროტესტს აცხადებს მრავალი ათასი უბრალო ამერიკელიც. ამას წინათ ნიუ-იორკში დემონსტრაცია გამართეს ქალებმა, რომლებიც ილაშქრებენ გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ, მხარს უჭერენ ატომური გამოცდის შეწყვეტას. დემონსტრანტებმა საპროტესტო დეპეშები გაგზავნეს ვაშინგტონში პრეზიდენტის სახელზე.

**სურათზე:** (მარცხნივ) დემონსტრანტ ქალთა კოლონა გაერთიანებული ერების შენობასთან ნიუ-იორკში.

**სურათზე:** (მარჯვნივ) ქუჩა მანაგუაში — ლათინური ამერიკის პატარა ქვეყნის ნიკარაგუას დედაქალაქში. იარაღმომარჯვებული ჯარისკაცები, პოლიციელთა მანქანები ყოველ კვადრატულ მეტრ მიწას უთვალთვალებენ.

მტერი ხომ არ შესია ამ ქვეყანას? იქნებ ბანდიტთა ხროვები დაესხნენ თავს დედაქალაქს?

არა, ნიკარაგუაში მხოლოდ პრეზიდენტისა და სამი ვიცე-პრეზიდენტის ეგრეთწოდებული „არჩევნებია". რა თქმა უნდა, კაპიტალისტური პრესის აზრით „არჩევნები" ნიკარაგუაში „დემოკრატიული" და „თავისუფალია".

ფოტო პრენსა ლატინა-საქდესისა.

## ბონური პარადოქსები

**ბონი.** რაც უფრო ღარიბია კაცი, მით უფრო მეტს იხდის ბინის ქირას, ნათქვამია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობაში. მუშის ოჯახი, რომლის შემოსავალია 300-400 მარკა, ბინის ქირად იხდის თვიური შემოსავლის 20 პროცენტს, ხოლო ოჯახი, რომელიც თვეში 1.100-1.200 მარკას იღებს, იხდის სულ 9 პროცენტს.

# მირაჟები, ვირაჟები, სპირალები

### მარსელ დასო ყიდულობს სავარძელს სენატში

**მელოტი** თავი, ფერმკრთალი სახე, მიმქრალი თვალები, პატარა ქერა ულვაშები თხელ ტუჩებს ზემოთ, მუდამ განგებ უბრალოდ ჩაცმული — ასეთია გარეგნობა პატარა კაცუნასი, რომელსაც ახალი რესპუბლიკის დაცვის კავშირის დეპუტატთა ერთ-ერთი სავარძელი უჭირავს პარლამენტში. პარლამენტის ბურჟუაზიულ მოღვაწეთა შორის არიან უაზის დეპუტატ მარსელ დასოზე ბევრად უფრო შესამჩნევი ფიგურები. მაგრამ მარტო იგი ღირს ახალი რესპუბლიკის დაცვის კავშირის მთელ გუნდად ეროვნულ კრებაში. იგი საფრანგეთის კაპიტალის მსახური როდია. იგი თვითონ არის კაპიტალი, დე გოლის მეხუთე რესპუბლიკის ერთ-ერთი უგვირგვინო მეფე.

იანვრის დამლევს, როცა ეროვნულ კრებაში სამხედრო ბიუჯეტს განიხილავდნენ, დეპუტატების წინაშე გამოვიდა სამხედრო მინისტრი მესმერი. „პარლამენტმა და ქვეყანამ, — თქვა მან, — უნდა იცოდნენ, რომ ჩვენ 1962 წლის მაისიდან გვაქვს ოპერატიული ატომური ბომბი, რომლის სიმძლავრე სამჯერ აღემატება ხიროსიმის ბომბის სიმძლავრეს, მოცულობა კი ნაკლები აქვს, და რომ 1963 წელს დაიწყება სერიული წარმოება ამ ბომბისა, რომლითაც შეიარაღებული იქნება თვითმფრინავი „მირაჟ-4".

სწორედ დასო აშენებს ამ „მირაჟ-4" თვითმფრინავს. სწორედ ეს თვითმფრინავი, რომელიც ლამურას ჰგავს, წარმოადგენს დე გოლის „დამკვრელი ძალის" საფუძველს. პირველი ოთხი თვითმფრინავი „მირაჟების" გუნდიდან, რომლებიც ფრანგ გადასახადის გადამხდელებს წინასწარი გამოანგარიშებით 1 მილიარდამდე ახალი ფრანკი დაუჯდებათ, მწყობრში ჩადგება უკვე ამ წლის დამლევს.

უაზის დეპუტატს ყველა საფუძველი ჰქონდა ხმა მიეცა ახალი ბიუჯეტისათვის. „მირაჟებისათვის" განკუთვნილი თანხების მეტი წილი მის სეიფებში შევა.

დასო არა მარტო უმსხვილესი ავიამრეწველია, რომელმაც დე გოლის მთავრობის დროს პრაქტიკულად ხელთ იგდო ყველა მბრძანებელი პოსტი თვითმფრინავების კონსტრუირების დარგში. იგი აგრეთვე უმსხვილესი ბანკირია — მას ეკუთვნის პარიზის კომერციული ბანკი, რომლის დირექტორი დიდხანს იყო ახალი რესპუბლიკის დაცვის კავშირის ყოფილი გენერალური მდივანი შალანდონი.

მას შემდეგ, რაც 1956 წლის არჩევნებში დასოს კოვზი ნაცარში ჩაუვარდა და ეროვნულ კრებაში ვერ გავიდა, მილიარდერი დიდი ძალის დაუტანებლად შევიდა სენატში. უაზის დეპარტამენტიდან სენატორის პოსტზე თავისი წინამორბედისაგან მან იყიდა გაზეთი „უაზ ლიბრი", რის შემდეგ სენატორმა მორჩილად ითხოვა გადადგომა. მოეწყო დამატებითი არჩევნები, და დასო სენატორი გახდა.

მარსელ დასოს პოლიტიკური კარიერა პარლამენტში განუყრელად დაკავშირებულია გოლიზმთან. ზღვისპირა ალპებში მან კენჭი იყარა როგორც ფრანგი ხალხის გაერთიანების კანდიდატმა. როცა დე გოლი ხელისუფლებას ჩაუდგა სათავეში, დასო ეროვნულ კრებაში დაბრუნდა როგორც ახალი რესპუბლიკის დაცვის კავშირის დეპუტატი.

ორი წლის წინათ მთელ საფრანგეთში გახმაურდა სკანდალი „სპირალ-3" თვითმფრინავების გამო. არმიას დასჭირდა ახალი სატრანსპორტო თვითმფრინავები სამხედრო ტვირთების გადასაზიდად აფრიკის კონტინენტზე გავლით. დასოს თვითმფრინავი „სპირალ-3" კონკურენციას უწევდა ფირმა „ნორდ-ავიასიონის", „ბრეგეტ-945" და „სუპერ-ბროსარ" მარკის თვითმფრინავებს. „ბრეგეტი" უკვე გამოცდილი იყო, „სუპერ-ბროსარი" მზად იყო სერიული წარმოებისათვის, დასოს თვითმფრინავი ჯერ კიდევ ნახაზებში იყო, რომელთა ღირებულებაზეც დავობდნენ თვალსაჩინო სპეციალისტები. მიუხედავად ამისა, დასოს წარმომადგენლებმა დაიწყეს იერიში მინისტრთა კაბინეტებზე, ამტკიცებდნენ, დასოს თვითმფრინავი ყველას სჯობსო. რათა დაერწმუნებინათ ისინი, ვისაც ეს ეეჭვებოდა, გააკეთეს ხის თვითმფრინავი „სპირალ-3" ნატურალური ზომისა. მარჯვე კინოტრიუკის საშუალებით ისიც კი შეძლეს, რომ ეჩვენებინათ დასოს არარსებული თვითმფრინავის... ფრენა! საბოლოო ანგარიშით დასომ დაამარცხა თავისი კონკურენტები. ყოფილმა პრემიერმა დებრემ ანგარიში არ გაუწია არც ექსპერტთა აზრს, არც ფინანსთა სამინისტროს პროტესტს და მთავრობის პროგრამაში შეიტანა თვითმფრინავი — აჩრდილი „სპირალ-3".

ამ თვითმფრინავის კონსტრუირებისათვის გამოყოფილ იქნა 20 მილიარდი ძველი ფრანკი.

გასაგებია, რომ დასოს და მის მომხრეებს განიარაღებაზე ან ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტაზე ლაპარაკის გაგონებაც კი არა სურთ. ამას წინათ გენერალმა გალუამ პირდაპირ განაცხადა, რომ ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტას შეუძლია მძიმე მდგომარეობაში ჩააყენოს საფრანგეთი და მან უნდა განაგრძოს ატომური აფეთქებანი მიუხედავად იმისა, შეწყვეტენ თუ არა მათ საბჭოთა კავშირი ან ამერიკის შეერთებული შტატები.

მაცთუნებელია მირაჟები და სარისკოა ვირაჟები და სპირალები მეხუთე რესპუბლიკის პოლიტიკისა, რომელსაც დასოები აკეთებენ.

# ამომრჩევლებს თოფს უმიზნებენ

1948 წლის 18 აპრილს იტალიაში გაიმართა პარლამენტის არჩევნები. არჩევნების შედეგად კუნძულ სიცილიაზე ერთიორად და მეტად გადიდდა იტალიის მმართველი ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიისათვის მიცემული ხმების რიცხვი.

რაში იყო საქმე? რით აიხსნებოდა ასეთი უმაგალითო ნახტომი?

საიდუმლოებას ფარდა ახადა იტალიურმა ბურჟუაზიულმა ყოველკვირეულმა ჟურნალმა „ესპრესომ", რომელმაც დიდი ხნის გასვლის შემდეგ გამოაქვეყნა ზოგიერთი დაწვრილებითი ცნობა იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობდა 1948 წლის საარჩევნო კამპანია სიცილიაში.

არჩევნებს წინ უძღოდა შემდეგი ამბები. „ხალხის ნების გამოვლინებამდე" 8 დღით ადრე პალერმოს ახლოს ბოკადიფალკოს ვილაში გაიმართა სიცილიის ტერორისტული ორგანიზაციის მაფიის წინამძღოლთა ფარული თავყრილობა. თათბირზე წყდებოდა საკითხი, რომელ პარტიაზე ღირდა ვარაუდების დამყარება, რომელი პარტია შეძლებდა მაფისტების თამასუქის სრულად განაღდებას. ამ არჩევნებამდე ბანდიტები მხარს უჭერდნენ ლიბერალებს. მაგრამ ახლა, როცა ქრისტიან დემოკრატებს იტალიაში ხმის უმრავლესობის მოპოვების თითქოს ყველა შანსი ჰქონდათ, ხელსაყრელი იყო კურსის მკვეთრად შეცვლა.

და კურსი შეცვლილ იქნა. გვიან ღამით კუნძულის ყველა მხარისაკენ პალერმოდან გავიდა 42 მანქანა. ამ მანქანებით მიდიოდნენ თვალსაჩინო მაფიატები. რომლებიც ეშურებოდნენ ეცნობინებინათ თავიანთი „მეგობრებისათვის" ახალი ამბავი, ჩამოერთმიათ მათთვის ლიბერალური პარტიის ემბლემები და გადაეცათ ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ემბლემა: ფარი, რომელზეც გამოსახულია ჯვარი წარწერით „ლიბერტას", ესე იგი „თავისუფლება"...

თუ რა „თავისუფლების" ატმოსფეროში მიმდინარეობდა არჩევნები სიცილიაში, ამას საკმაოდ მჭევრმეტყველურად მოწმობენ ფაქტები, რომლებიც შემდეგში მთელმა იტალიამ შეიტყო. საარჩევნო კამპანიას მაფისტების ბატონობის ზონაში 1948 წელს, — წერდა „ესპრესო", — წინ უძღოდა მუქარის წერილები ამომრჩევლებისადმი, გლეხთა პირუტყვის მოპარვა და დახოცვა, ცეცხლის წაკიდება, ხეხილის ბაღებისა და ვენახების გაფუჭება, ჭებსა და წყალსატევებში წყლის მოწამვლა — წყალი კი გვალვიან სიცილიაში ოქროს ფასად ღირს. ვისაც საარჩევნო კამპანიის ასეთი მეთოდები ვერ არწმუნებდა, მაფია მათ თავის, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ქრისტიანულ-დემოკრატიულ პოლიტიკურ რწმენას ავტომატებისა და ტყვიამფრქვევების ცეცხლით უნერგავდა. მემარცხენე პარტიების ათობით ხელმძღვანელი და პროფკავშირული აქტივისტი, ასობით მშრომელი დაიღუპა ომისშემდგომ წლებში სიცილიაში მაფიის ტერორისაგან. ხელისუფლებს ბანდიტებისათვის არ წარუდგენიათ ანგარიში ამ სისხლიან დანაშაულობათა გამო — ქრისტიან-დემოკრატი მოღვაწეები თვითონ ანაღდებდნენ მათთვის მაფიის მიერ წარდგენილ ანგარიშს არჩევნების დროს მხარდაჭერისათვის. ბანდიტები მმართველი პარტიის დახმარებით გაძვრნენ შემოსავლიან თანამდებობებზე სიცილიის თითქმის ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში, მათ შორის იმ დაწესებულებებშიც, რომლებიც მაფიას უნდა ებრძოდნენ...

ასეთია ბურჟუაზიული „არჩევნების თავისუფლების" ერთ-ერთი ნაირსახეობა — თავისუფლება მაფიისებურად.

# კანონმდებლები

### ფელეტონი

**ძნელია,** ო რა ძნელია, შეაღწიო შეერთებული შტატების საკანონმდებლო ორგანოებში! ამისათვის უნდა გქონდეს მძლავრი ხმა, აგრეთვე კარგად მოგვარებული ურთიერთობა ღრმადპატივცემულ მონოპოლისტურ წრეებში. ახლა რამდენი ფულია საჭირო!..

სწორედ ამიტომ შეერთებულ შტატებში პარლამენტარები ხდებიან საკუთრებით განსაკუთრებული ადამიანები. ისეთები, მაგალითად, როგორიც ჩარლზ იანელოა. გასული წლის შემოდგომაზე იგი კვლავ აირჩიეს მასაჩუსეტსის შტატის საკანონმდებლო კრებაში. „დიდად აღფრთოვანებული ვარ მაღალი პატივით, — განაცხადა დეპუტატმა, მაგრამ სესიაზე არ გამოცხადდა. იმიტომ კი არა, რომ არ მოისურვა ან, როგორც იტყვიან, ხალხს მოსწყდა. არ შეეძლო. ფიზიკურად არ შეეძლო. და კიდევ ერთ წელიწადს ვერ შეძლებს, რადგან წლინახევრის პატიმრობას იხდის მშობლიური დემოკრატიული პარტიის სალაროდან ფულის მოპარვისათვის.

და განა იოლი იყო დეპუტატის სავარძლის დაკავება იმავე მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ ვორჩესტერის საარჩევნო ოლქში. იქ დემოკრატ ედვარდ შულცის წინააღმდეგ გამოდიოდა რესპუბლიკური პარტიის უაღრესად ენერგიული კანდიდატი. თანაც ქალი. გვარად შულცი. მილდრედ შულცი. არა, თანამოგვარე კი არა, ცოლი. გაზეთები იუწყებოდნენ, რომ წინასაარჩევნო ბრძოლა ვორჩესტერში უაღრესად რთულ პირობებში მიმდინარეობდა, შულცების ხან სამზარეულოში ჩაღდებოდა, ხან სასტუმრო ოთახში, ხან საწოლში. გაიმარჯვა ერთ-ერთმა მეუღლემ. სახელდობრ რომელმა? რა მნიშვნელობა აქვს ამას?

კიდევ უფრო დიდ სიძნელეებს წააწყდა რესპუბლიკელი ედვინ მიჩემი — ნიუ-მექსიკოს შტატის გუბერნატორი. მისი გულწრფელი მისწრაფება იყო გაებედნიერებინა ამერიკელი ხალხი, ვაშინგტონში სენატორის პოსტზე თუ აირჩევდნენ. ეს უანგარო ადამიანი, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა დაინტერესებულიყო იმ ფაქტით, რომ სენატორის პოსტი კარგ შემოსავალს იძლევა — ოცდაორი ათას დოლარს წელიწადში! ედვინ მიჩემი ამაზე მაღლა იდგა, წმინდა იდეური მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა.

მაგრამ მიჩემის შანსებს ძალიან მცირედ აფასებდნენ, ვინაიდან იგი ყოვლად უვარგისი გუბერნატორი იყო. ბედნიერმა შემთხვევამ კი უშველა: მოკვდა სენატორი დემოკრატიული პარტიისაგან დენის ჩავესი. მიჩემმა ისარგებლა გუბერნატორის უფლებით და ჩავესის მემკვიდრედ ვაშინგტონში დანიშნა... თავისივე თავი. იგი დიდხანს და ტანჯვით ებრძოდა საკუთარ სინდისს, სანამ თავისი პოლიტიკური მოწინააღმდეგის პოლიტიკური მემკვიდრე გახდებოდა. და მაინც მისმა დამახასიათებელმა ზუსტმა ანგარიშმა — დიდი მასშტაბის სახელმწიფო მოღვაწის თვისებამ — სძლია ისეთ ფრიად გამძლე ცრურწმენას, როგორიც არის სინდისი.

ჩვენ გაგაცანით რამდენიმე ამერიკელი კანონმდებლის რამდენიმე საარჩევნო საზრუნავი. ასეთია ერთ-ერთი ფარული მხარე ამერიკული არჩევნებისა, რომლის შედეგადაც შეერთებული შტატების სახელმწიფო საჭესთან დგებიან განსაცვიფრებლად პატიოსანი და უანგარო, უმაგალითოდ პრინციპული, ხალხისადმი უაღრესად ერთგული ადამიანები — მოკლედ, ისეთები, როგორიც არიან ჩარლზ იანელო, ცოლ-ქმარი შულცები და ედვინ მიჩემი.

**ვ. კაჩანოვი.**

# მზე შინა და მზე გარეთა...



ეს მხიარული, ხალისიანი ქალიშვილები და ჭაბუკები თბილისის 62-ე საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეები არიან, კომკავშირელები, ლეილა ბეროზაშვილი, ბელა ბერძენიშვილი, მანანა კახელი, ლუიზა აფხაზავა, ჯამბაკურ ნაჭყებია, ავთანდილ შურღაია და თენგიზ ბეროზაშვილი.

მათ დიდხანს დაახსომდებათ წლევანდელი გაზაფხული — ის წელი, როცა პირველად მიიღეს მონაწილეობა არჩევნებში და მოიპოვეს ცხოვრების საგზური — სიმწიფის ატესტატი.

ფოტო ს. თბილელისა.

## სამმა დასავლეთის სახელმწიფოებზეა

ლონდონი, 15 მარტი. (საკდესი). პარლამენტის წევრმა ზოგიერთმა ლეიბორისტმა გუშინ თემთა პალატაში მოითხოვა, რომ ინგლისის პრემიერ-მინისტრმა მაკმილანმა ხელი შეუწყოს შეთანხმების მიღწევას ატომური იარაღის გამოცდების აკრძალვის შესახებ პასუხად საბჭოთა კავშირის დიდმნიშვნელოვანი დათმობისა, რომელიც დაეთანხმა ადგილობრივი ინსპექციის პრინციპს.

დასავლეთის სახელმწიფოები, განაცხადა ლეიბორისტმა დრაიბერგმა, მუდამ ხაზს უსვამდნენ, რომ უთანხმოებანი ადგილობრივი ინსპექციების საკითხში ერთადერთი დაბრკოლებაა იმ გზაზე, რომ დაიდოს შეთანხმება გამოცდების აკრძალვის შესახებ, მაგრამ როცა საბჭოთა კავშირმა დათმობა საკითხში, დასავლეთის სახელმწიფოებმა ანგარიში არ გაუწიეს ამას და არ გადადგეს შესაბამისი ნაბიჯი.

პრემიერ-მინისტრი მაკმილანი თავის გამოსვლაში დასჯერდა იმ ფაქტის აღიარებას, რომ საბჭოთა კავშირის დათმობა ინსპექციათა საკითხში „დიდმნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია", და იმედი გამოთქვა, რომ „ბოლოს და ბოლოს ამას მოჰყვება საკითხის გადაჭრა".

## დამოუკიდებლობა და მიუმხრობლობა

ქაბული, 15 მარტი. (საკდესი). გუშინ საღამოს ქაბულის რადიოთი გამოვიდა ავღანეთის პრემიერ-მინისტრი მუჰამედ იუსუფი. მან ჩამოაყალიბა ავღანეთის ახალი მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები. „ახალი მთავრობის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი ... ული მთლიანობის, უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შენარჩუნება და განმტკიცება". ეკონომიური განვითარების დარგში, განაგრძო მან, მთავრობა განავითარებს და განამტკიცებს ავღანეთის ეკონომიკას დაგეგმვის საფუძველზე. იუსუფმა აღნიშნა აგრეთვე, რომ მისი მთავ...

პრემიერი შეეხო თავისი მთავრობის საგარეო პოლიტიკას და განაცხადა, რომ მისი მთავრობა კვლავაც განახორციელებს ნეიტრალიტეტისა და ბლოკებთან მიუმხრობლობის ტრადიციულ პოლიტიკას. მან დაადასტურა ავღანეთის ერთგულება ბანდუნგისა და ბელგრადის კონფერენციათა პრინციპებისადმი.

## შეხვედრა პარიზში ბერძენ გმირთან

პარიზი, 15 მარტი. საკდესის კორესპონდენტი ა. ბარანოვი იტყობინება: პარიზის სასტუმრო „კონტინენტალის" ერთ-ერთ დარბაზში მანოლის გლეზოსთან შეხვედრაზე შეიკრიბნენ გუშინ საღამოს მისი თანაკალმოსნები — ჟურნალისტები.

საბერძნეთის ეროვნულმა გმირმა მხურვალე მადლობა გადაუხადა ფრანგ ხალხს, რომელმაც მონაწილეობა მიიღო მისი განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

## ვერ შეთანხმდნენ

ლონდონი, 15 მარტი. (საკდესი). აქ დამთავრდა მოლაპარაკება დანიის საგარეო საქმეთა და სოფლის მეურნეობის მინისტრებსა და ინგლისის მინისტრებს შორის. როგორც პრესის ცნობებიდან ჩანს, მოლაპარაკების დროს ვერ აღმოიფხვრა უთანხმოებანი იმ საკითხში, რომ დანიამ კვების პროდუქტები მიაწოდოს ინგლისს.

## სომალისა და ინგლისის კონფლიქტი

პარიზი, 15 მარტი. (საკდესი). სომალის ეროვნულმა კრებამ გუშინ 74 ხმით 14 ხმის წინააღმდეგ დაამტკიცა რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილება, რომ გაწყვიტოს დიპლომატიური ურთიერთობა ინგლისთან. ამას იუწყება ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი მოგადიშოდან.

## მხარს უჭერენ მეშახტეებს

პარიზი. (საკდესი). მეთხუთმეტე დღეა გრძელდება საფრანგეთის მამაც მეშახტეთა გაფიცვა. მდგომარეობა საფრანგეთის ქვანახშირის შახტებში, რკინისა და მარილის მაღაროებში კვლავ უცვლელია: არავინ არ მუშაობს...

## ა. ი. სიჭინავა



უეცრად გარდაიცვალა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს პედიატრიის...

# რეპორტაჟი • ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • სპორტი

## ჟურნალისტთა მეგობრული შეხვედრა

## თქვენთვის, მომავლებო!



## კინოლიუბითელთა ფილმი მარსელში

## „ვოლგა" ლატარიის ბილეთით

## ქვიშხეთის საჩუქარი დედებს

ლ. რომელაშვილი.

# ჩამოხსნეს ხარაჩოები

დამთავრდა ახალი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. ხარაჩოები ჩამოხსნეს. ფართო ფანჯრებიდან გამოანათა ილიჩის ნათურებმა, ბინებში ჩასახლდა სიხარული — დაიწყო ახალი ცხოვრება.

სწორედ გუშინ დიდი მხიარულება იყო ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე, სასტუმრო „აფხაზეთის" გვერდით. ახალ მოშინადრეებს ავტომანქანებით ავეჯი, საოჯახო ნივთები შეჰქონდათ ბინებში. სამოცდაერთ ოჯახში შეისვა ახალი ფუძის სადღეგრძელო. ეს შესანიშნავი კომფორტაბელური საცხოვრებელი სახლი 1.895 კვადრატული მეტრია.

ეს იყო გუშინ..

— მომავალ კვირაში თბილისელები კიდევ ოთხ საცხოვრებელ სახლს მიიღებენ, — განაცხადა ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბარში თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს უფროსმა ვ. ჯაფარიძემ. საბურთალოს მასივში მეექვსე კვარტალში დამთავრდა ორმოცდარვაბინიანი სახლის მშენებლობა, დიღომში და ავჭალის გზატკეცილზე კალინინის სახელობის ქარხნის დასახლებაში — ორმოცდახუთბინიანებისა, ხოლო მოსკოვის ფართო პროსპექტზე — სამოცდახუთბინიანისა.



## საქართველოს პირველობა ჭადრაკში

## უკანასკნელ ზღუდესთან

## ფინიშის წინ

# რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

თეატრები — კინო — ტელევიზია — რადიო

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

„კომუნისტი" Комунисти ИНДЕКС 66443

თბილისი, ლენინის 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 8-08-67, პ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 3-46-10 განყოფილებებისა: პარტიული, მრეწველობის, — 9-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-22 89, სოფ ლის მეურნეობის — 3-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწ. და სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების, ინფორმაციის — 3-16-90, წერი ლების — 9-73-24, საილუსტრაციო — 3-20-43, განცხადებების — 9-94-42.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

უე 05878 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.